ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## მიხეილ რამიშვილი: „მამა გიორგი მამალაძე საავადმყოფოდან გაიტაცეს“

გვ.2



## 22 თებერვლიდან

ოტია იოსელიანი

### ქალი გამოვიდა სალალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



შაბათი – კვირა, 23 – 24 თებერვალი, 2019

№45 (7999)

ფასი: 60 თეთრი

# „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა დატოვა



გვ.2



ვის გარიცხავენ მმართველი პარტიიდან

## აფინანსებდა თუ არა მამუკა ხაზარაძე ოპოზიციის აქციებს

გვ.3

ზვიად კუპრავა: „მივმართავ ხელისუფლებას, თქვენ მიიღებთ ასანჯს საქართველოში“



## „ბესელია ივანიშვილზე ჭკვიანურად იქცევა“

გვ.4




რამაზ საყვარელიძე: „ბიძინამ, შესაძლოა, კობახიძის გუნდი გაწიროს“



გვ.4

## უჩა ნანუაშვილი: „ოცნება“ სასამართლოს აკონტროლებს, სისტემაში კრიზისია“

„იუსტიციის საბჭოს წევრების გამოწვევის ბერკეტი პარლამენტს არ აქვს, პასუხისმგებლობა ყველას ეკისრება“



გვ.3

## ნიკა მელია: „ქართულ ოცნებაში“ რღვევის პროცესი დაიწყო“

**სამართალი** გვ.7



### ირინა ონაშვილის გაქურდვისთვის მისი დამხმარე ქალი დააკავეს




### თურქეთში დაკავებული ქართველი ფეხბურთელები ხელწერილით გამოუშვეს



### ანი აროშიძე: „მომაკვდავი მამის თვალწინ დამაპატიმრეს ბესელიას ვიდეოს ნახვის გამო, მამა 5 დღის შემდეგ გარდაიცვალა“

ISSN 1987-9385

5 შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებაში“ მიხვდნენ, რომ ივანიშვილი არაფრის გარანტორი აღარ არის“

6 აფხაზებმა იციან, რომ ჩვენ გარეშე ვერ იარსებებენ

5 თემურ შაშიაშვილი: „სააკაშვილს დღევანდელი ხელისუფლების სისუსტე აძლიერებს“

7 აუდიტი: ფოთის მერის მოადგილეებმა მათზე გაცემული დანამატები უნდა დააბრუნონ

შორენა მარსაგიშვილი

# მიხეილ რამიშვილი: „მამა გიორგი მამალაძე საავადმყოფოდან გაიტაცეს“

**მიუხედავად იმისა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, ის ციხეში დააბრუნეს. მამა გიორგი ციხიდან საავადმყოფოში 15 თებერვალს მოხვდა.**

თავდაპირველი ინფორმაციით, მამა გიორგიმ ინსულტი მიიღო. მას უჭირდა კიდურების მოძრაობა და მეტყველება. საავადმყოფოში მყოფი დეკანოზის მოსანახულებლად მისი ოჯახის წევრები მხოლოდ ერთხელ შეუშვეს.

მამა გიორგის ძმა, თორნიკე მამალაძე აცხადებდა, რომ ექიმები მათ მიმართ აგრესიას იჩენდნენ.

აგრესიულმა ექიმებმა რამდენიმე დღეში დაასკვნეს, რომ დეკანოზს ინსულტი არ ჰქონდა, რის შემდეგაც მამა გიორგი ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ამასთან დაკავშირებით სპეციალური პენიტენციური სამსახური განცხადებას ავრცელებს. განცხადებას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

– მსჯავრდებული გიორგი მამალაძე ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრიდან №18 პენიტენციურ (სამკურნალო) დაწესებულებაშია გადაყვანილი.

პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებული ყველა იმ სამედიცინო პროცედურას გაივლის, რაც სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ჩატარებული ექიმთა კონსილიუმის დასკვნით არის რეკომენდებული.



შეგახსენებთ, რომ მსჯავრდებული №9 პენიტენციური დაწესებულებიდან ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრში მიმდინარე წლის 15 თებერვალს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა წინასწარი დიაგნოზით თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის გარდამავალი მოშლა, ჰიპერტონული კრიზი. ჩატარდა სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევები. მათ შორის ორჯერ გაკეთდა თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევა (ერთხელ კლინიკაში მოთავსებისთანავე, ხოლო მეორედ – 16 თებერვალს, დინამიკაში დაკვირვების მიზნით). 17 თებერვალს მსჯავრდებულს თავის ტვინის და ხერხემლის ღთ გამოკვლევა ჩაუტარდა. აღნიშნული გამოკვლევებით თავისა და ზურგის ტვინში მწვავე კეროვანი პათოლოგია არ გამოვლენილა.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე 18 თებერვალს გაიმართა ნევროლოგების კონსილიუმი, რომლის დასკვნის თანახმად, მოცემულ ეტაპზე თავის ტვინის ორგანული დაზიანების ნიშნები გამოვლენილი არ ყოფილა.

20 თებერვალს ჩატარდა ნევროლოგების, ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების კონსილიუმი. ჩივილების, დაავადების ანამნეზის, ფსიქიკური სტატუსის, გამოკვლევების მონაცემების გათვალისწინებით ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრში მსჯავრდებულს დაესვა დიაგნოზი დისოციაციური მოტორული აშლილობა. კონსილიუმის დასკვნაში მითითებულია, რომ პაციენტი უჩივის მარჯვენა ზედა და ქვედა კიდურების მოძრაობის უნარის და სენსორული შეგრძნებების დაკარგვას, რისი ორგანული საფუძველიც გამოკვლევებით არ დადგინდა.

კონსილიუმის დასკვნის თანახმად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ გიორგი მამალაძე 2 წელია იმყოფება ფსიქოლოგიური სტრესისა და იზოლაციის მდგომარეობაში. კონსილიუმის დასკვნით, აღნიშნული ნოზოლოგიის მკურნალობის ძირითადი მეთოდია ფსიქოთერაპია, ხოლო ფარმაკოთერაპია გამოიყენება თანმხლები დარღვევების (მაგალითად, დეპრესიის ან შფოთვის) სიმპტომების რედუქციის მიზნით. გარკვეული პოზიტიური გამოცდილება დადასტურებულია ფიზიოთერაპიული ინტერვენციებიდან, რაც ხორციელდება თავდაპირველად სტაციონარულად, ხოლო შემდგომ ამბულატორიულად. ექიმთა კონსილიუმმა აღნიშნა, რომ ამ დიაგნოზის მქონე პაციენტის მართვის უფლება, კომპეტენციების შესაბამისად, ასევე აქვს ნევროლოგს, რაც პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს.

კონსილიუმის მოცემული დასკვნის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სტაციონარში გადაყვანის შესახებ, როგორსაც წარმოადგენს პენიტენციური სისტემის სამკურნალო დაწესებულება, სადაც მას ექიმების მიერ რეკომენდებული მკურნალობა ჩაუტარდება, – ნათქვამია განცხადებაში.

ექიმების დასკვნას უნდობლობას უცხადებენ მამა გიორგის ოჯახის წევრები და ადვოკატები. ადვოკატ მიხეილ რამიშვილის თქმით, მამა გიორგი საავადმყოფოდან ისე გაიტაცეს, როგორც ორი წლის წინ აეროპორტიდან.

ადვოკატის თქმით, ექიმები დასკვნის დაწერის დროს ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ამ განცხადებას დეკანოზის მკურნალი ექიმი მარინა გელანტია გამოეხმაურა.

– არავითარი ზეწოლა არ ყოფილა, არც ბადრაგების მხრიდან არ ყოფილა ზეწოლა. რამდენიმე კონსილიუმი შედგა, რომელშიც მონაწილეობდნენ არა მარტო კლინიკის სპეციალისტები, არამედ რესპუბლიკაში ამ დარგის წამყვანი სპეციალისტები. დაისვა შესაბამისი დიაგნოზი. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ წუთისთვის შეფასდა, როგორც სტაბილური და გაეწერა კლინიკიდან, – განაცხადა გელანტიამ.

მიხეილ რამიშვილმა დეკანოზთან დაკავშირებით კიდევ ერთი სკანდალური განცხადება გააკეთა.

მან ტვ. პირველის ეთერში მუქარაზე ისაუბრა და ერთგვარი მიმართვა გააკეთა:

– არა მარტო გიორგი მამალაძის ოჯახის წევრების, ჩვენზეც უკვე დიდი საშიშროებაა და ამიტომ მე მთელი პასუხისმგებლობით ვიძახი და ვაფრთხილებ ყველას: არავინ არ გაბედოს, ჩვენი ოჯახის წევრებს რამე გაუბედონ. ჯერჯერობით მე აქ ვარ, – თქვა ადვოკატმა.

# „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა

## ვის გარიცხავენ მმართველი პარტიიდან

შორენა მარსაგიშვილი



საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში დიდი ამბები ტრიალებს. „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა, „ევროპულ საქართველოს“ კი შეიძლება საპარლამენტო უმცირესობის სტატუსი დაეკარგოს. საპარლამენტო უმცირესობის გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ევრონაცები და ნაციონალური მოძრაობა ისევ გაერთიანდებიან.

21 თებერვალს პარლამენტმა ეკა ბესელიას მომზადებული კანონპროექტი ჩააგდო, რომელიც მოსამართლეების უვადოდ დანიშვნაზე მორატორიუმს ითვალისწინებდა.

ბესელიას თავიდანვე ჰქონდა ნათქვამი, რომ თუ ეს კანონპროექტი არ გავიდოდა, ის „ოცნებას“ დატოვებდა. ბესელიამდე „ოცნება“ ლევან გოგიჩაიშვილმა და ბექა ნაცვლიშვილმა დატოვეს.

ბესელიამ თავისი გადაწყვეტილება საგანგებო პრესკონფერენციაზე გაახმოვანა.

– ძალიან რთული, ემოციური და საპასუხისმგებლოა ის, რაც მინდა განვაცხადო. ძალიან რთულია, ვთქვა, რომ მივდივარ იმ პოლიტიკური პარტიიდან, რომელიც დავაფუძნე ბიძინა ივანიშვილთან ერთად. რთულია, ვთქვა, რომ მივდივარ სწორედ იმ პოლიტიკური გუნდიდან იმ დრომდე, ვიდრე არ განვმარტავ, სად მივდივარ. მივდივარ იქ, სადაც არის საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. სადაც ჯერ კიდევ არის იმედი, რომ ამ ავბედით კოჰაბიტაციას არ გადაჰყვება როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე ყოველი ოჯახისთვის და მოქალაქისთვის, თითოეული პიროვნებისთვის ყველაზე ღირებული რამ, სამართალი, სამართლიანი სასამართლო და სამართლიანობა.

ჩვენ ყველას ერთად, სრულიად საქართველოსთან ერთად, 2012 წლის პირველი ოქტომბერი გვაქვს ბოლომდე მისაყვანი, ბოლომდე უნდა განვახორციელოთ ის იდეალები, რომლითაც პირველი ოქტომბერი მოვიდა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.



ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში ბიძინა ივანიშვილი „ოცნების“ წევრებს შეხვდა. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პარტიიდან იმ დეპუტატების გარიცხვა იგეგმებოდა, ვინც ბესელიას მომზადებულ კანონპროექტს დაუჭირა მხარი.

ივანიშვილის და მისი სამწყსოს შეხვედრამ დაახლოებით 3 საათს გასტანა. დეპუტატები შეხვედრის დეტალების გამჟღავნებას ერიდებიან.

დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ მხოლოდ ის თქვა, რომ არავინ არავის გაურიცხავს და ეს საკითხი არ იყო განხილვის თემა.

– არავინ არავის გაურიცხავს და ეს საკითხი არ იყო განხილვის თემა. იყო სხვა ძალიან მწვავე პრობლემები, რომელიც არის და ჩვენ ამაზე გვქონდა საუბარი. პარტიის თავმჯდომარე აპირებს, რომ უმრავლესობის სხვა ჯგუფებსაც შეხვდეს. როგორც ქუხს, ისე არ წვიმს, მოგეხსენებათ. ასეა ახლაც. იყო შეხვედრა პარტიის თავმჯდომარესთან გარკვეული ჯგუფის. იყო საქმიანი და გულწრფელი საუბარი. ბევრ რამეზე შევჯერდით, – აღნიშნა ნუკრი ქანთარიამ.

მისივე თქმით, 22 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე სასამართლოზეც იყო საუბარი, უმრავლესობის მომავალზეც.

– ბევრ რამეზე მოხდა ძირეული საუბარი, ყველა საკითხი მწვავეა, – აღნიშნა დეპუტატმა.

„ოცნების“ და ივანიშვილის შეხვედრა 23 თებერვალსაც გაიმართება და შეიძლება სწორედ ამ სხდომაზე გარიცხონ ბესელიას მხარდამჭერები.

„ოცნებიდან“ საკუთარი ნებით აპირებს წასვლას გედევან ფოფხაძე. ის ამის შესახებ განცხადებას 25 თებერვალს გააკეთებს. თუ მანამდე პარტიის ლიდერებმა არ გააგდეს.

საკონსტიტუციო უმრავლესობის დაშლას მეოცნებეები გაგებით მოეკიდნენ. ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა საჭირო აღარ არის, რადგან კონსტიტუციაში ცვლილებებია შეტანილი:

– საკონსტიტუციო უმრავლესობა ძალიანაც კარგია თუ არ შენარჩუნდება. კონსტიტუცია ჩვენ მივიღეთ და სულაც არ ვართ ჩვენ კონსერვატორები მომხრე, რომ კონსტიტუციის შეცვლის შესაძლებლობა იყოს დატოვებული. ყველა მივეჩვევით, რომ ერთიანი თამაშის წესებით ვითამაშებთ, – აღნიშნავს დეპუტატი.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ ეკა ბესელიას წასვლა დიდ ტრაგედიად არ მიიჩნია. მისი თქმით, მისი კოლეგის ეს გადაწყვეტილება პიარზე გათვლილი სვლაა.

მდინარაძის ამ შეფასებამ „ოცნებიდან“ წამოსული განარისხა. მან კოლეგას კარგად დაფიქრება ურჩია.

– მე ვურჩევ მამუკა მდინარაძეს, ნუ გათამამდება ჩემზე კომენტარების გაკეთებისას. მდინარაძე არ არის ის პერსონა, რომელიც ჩემზე კომენტარებს უნდა აკეთებდეს. მას ამისთვის არც პოლიტიკური სიმწიფე ჰყოფნის, არც პოლიტიკური გამოცდილება, არც პოლიტიკური წონა, არც ავტორიტეტი. ამიტომ ვურჩევ, სხვა რამეებით დაკავდეს და მიხედოს ფრაქციის საკითხებს. ჩემზე კომენტარებს კი თავი დაანებოს, ვურჩევ, თორემ მომიწევს შევახსენო, თავისი ადგილი სად არის, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი დიდ ტრაგედიას ვერ ხედავს იმაში, რომ დეპუტატები „ოცნებიდან“ მიდიან.

– თუ ვინმე ჩვენი გუნდიდან წასვლას გადაწყვეტს, ეს არ შექმნის არანაირ პრობლემას, – განაცხადა ოხანაშვილმა.

ისე, „რეალი“ და ფიორენტინო პერესიც ეგრე ამბობდნენ, რონალდუ რომ წავიდა მათგან, მაგრამ კი არიან ახლა გაღიმებულები.

„ოცნებასაც“ ღიმილამდე ბევრი აღარ უკლია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნათია ხურცილავა

# ნიკა მელია: „ქართულ ოცნებაში“ რღვევის პროცესი დაიწყო“

## „საკონსტიტუციო უმრავლესობას დაკარგავენ დღეს, ხელისუფლებას დაკარგავენ ხვალ“

**ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი ნიკა მელია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ნიკა, „ქართულ ოცნებაში“ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს თქვენ როგორ ხსნით?***

– პირდაპირ გეტყვით, ეს არის რღვევის პროცესი. ეს პროცესი დაწყებულია და ახლა რა შეფასებებიც არ უნდა გააკეთონ, ამას ვერ გაექცევიან. „ქართული ოცნება“ დაშლის პირას არის და ეს პროცესი გარდაუვალია. მმართველი პარტია დაკარგავს არა მხოლოდ საკონსტიტუციო უმრავლესობას, არამედ მალე ჩვენ ვნახავთ, რომ უმრავლესობასაც დაკარგავს და ამას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს.

***– და რით ხსნით?***

– განსაკუთრებით უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში დამისახელეთ ერთი ისეთი პროექტი, რომელიც მართლაც ჩვენს ქვეყანაზე, ხალხზე იყო ორიენტირებული! ვერ დამისახელებთ, რადგან ასეთი პროექტი არ ჰქონია ხელისუფლებას. ბოლო ერთი წელია, ჩვენ ვაკვირდებით შიდა ბრძოლებს, მხოლოდ ამაზე არიან გადასული. ბესელია დაუპირისპირდება კობახიძეს, მერე კობახიძე დაუპირისპირდება ბესელიას ან პირიქით და სულ ეს არის.

მითხარით, რომელიმე ეკონომიკური გეგმა იყო წარმოდგენილი შექმნილი ვითარების ან უმუშევრობის დასაძლევად?! ან პენსიონერზე ვინ იზრუნა, ან რომელიმე ერთი სტატუსშეჩერებული სტუდენტი დამისახელეთ, რომელსაც ხელისუფლებამ სტატუსი აღუდგინა და ის ფინანსური ტვირთი, რომელიც ოჯახს აწვა გადასახადის სახით, ამ ოჯახს მოეხსნა. ასეთი ფაქტი ბუნებაში არ არსებობს, ამიტომ ვერც დამისახელებთ.

2012 წლის შემდეგ, რაც მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ქვეყნიდან 700 ათასზე მეტი ადამიანია წასული უცხოეთში ემიგრაციაში. ამას რა ახსნას უძებნიან?!

***– რომ დავუბრუნდეთ „ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებს...***

– ამ ყველაფრის მერე როგორ გიკვირთ ის, რაც ხდება „ქართულ ოცნებაში“?! ხდება ის, რაც ამ დროს ყველაზე ბუნებრივია. ეს არის დაშლის პროცესი, რომელიც გარდაუვალია. თავისთავად ამ სტაგნაციამ, ამ უკუსვლამ ასახვა ჰპოვა „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით და დაიწყო ის პროცესი, რომლის მოწმენიც ვართ დღეს პარლამენტის კედლებში, რაც ბუნებრივად გარეთ გადმოვა.

***– სასამართლოში მიმდინარე პროცესებზეც მინდა გკითხოთ, რასაც მოჰყვა ეს ამბები. საზოგადოებამ კარგად იცის, ნაციონალური მოძრაობის დროს რას წარმოადგენდნენ მურუსიძე, ჩინჩალაძე. დღეს ივანიშვილს რაში აწყობს მათთან ასოცირება?***

– მურუსიძეების, ჩინჩალაძეების არსებობა სწორედ სასამართლო სისტემაში ივანიშვილისთვის არის შვება. როგორ თუ რაში აწყობს. ეს დიდი შვებაა მისთვის. 2012 წლის არჩევნებში როდესაც ბიძინა ივანიშვილმა გაიმარჯვა, პირველი, იცით, რა გააკეთა?! თავის სასახლეში სტუმრად მიიღო ბატონი მურუსიძე, რომელზეც დანანებით გვითხრა, ეს ანგელოზი როგორ იყო სისტემის მსხვერპლიო. ჰოდა, მას შემდეგ მურუსიძე ემსახურება არა კანონმდებლობასა და კონსტიტუციას, არამედ პირადად ბიძინა ივანიშვილს, მაშინ როდესაც ოპოზიციაში ყოფნის დროს ბატონი ივანიშვილი და მთელი მისი გუნდი როგორ აკრიტიკებდნენ მურუსიძესა და ჩინჩალაძეს.

რა რეფორმა, რისი რეფორმა, მთელ სასამართლო სისტემას, რომლის რეფორმირება მართლაც აუცილებელია, დღეს ივანიშვილი და ეს ხალხი ამბრაზურასავით არიან გადაფარებული, მეტიც, ამბობენ, რომ ქართული მართლმსაჯულების მომავალი დღეს სწორედ მურუსიძესა და ჩინჩალაძეზე დგას. ამაშია მთელი უბედურება.

ივანიშვილის ეს დამოკიდებულება უკვალოდ არ ჩაივლის. ეს იქნება ერთი დიდი დარტყმა, რომელიც მას ყველაფერს წააგებინებს.

***– ვიცესპიკერი ჩუგოშვილი ამბობს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ყველა ხელისუფლებისთვის ტვირთია და მათ ეს არაფერში სჭირდებათ.***

– საკონსტიტუციო უმრავლესობას დაკარგავენ დღეს, ხელისუფლებას დაკარგავენ ხვალ.

***– ამ პროცესს დომინოს ეფექტი შეიძლება ჰქონდეს?***

– ახლა გუნდის შიგნით ისეთი ვითარებაა, რომ ეს პროცესი გარდაუვალია. არაფერი პოზიტიური არ ხდება. ხელისუფლებას პოზიტიური დღის წესრიგი არ აქვს, პირიქით. ერთი საწარმო არ გაუხსნია პრემიერ-მინისტრს, ერთი დადებითი მოვლენა არ მომხდარა ქვეყანაში, რომლითაც ხელისუფლება იამაყებდა.

ეს უარყოფითი პროცესები, რა თქმა უნდა, კვალს ტოვებს თავად გუნდზეც. ამაში ორი აზრი არ არის.

***– მესამე ძალაზე რას იტყვით? შეიძლება, ეს იყოს მამუკა ხაზარაძე? პოლიტიკაში წავა ის?***

– ვერაფერს გეტყვით. ფაქტი ერთია, რომ ბიძინა ივანიშვილმა მამუკა ხაზარაძე უკიდურესად ცინიკურად აიძულა, ჯერ არჩევნებზე მხარი დაეჭირა და შემდეგ ბანკიდან გააგდო. მამუკა ხაზარაძე ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი სახლიდან გაასახლა. მამუკა ხაზარაძემ ეს ბანკი საკუთარი ხელებით შექმნა და ეს ფაქტია. ის არის ნამდვილად თვითმყოფადი წარმატებული ბიზნესმენი, მაგრამ ივანიშვილს ყველა წარმატებული ადამიანი ბიოლოგიურად ეზიზღება.



ყველა პროცესი, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს ადგილი აქვს, ნიშნავს იმას, რომ ბიძინა ივანიშვილის თავზე შავი ღრუბლები გროვდება. შეუძლებელია, ამ ყველაფერს ტურბულენტური ეფექტი არ ჰქონდეს ივანიშვილისთვის.

ივანიშვილი ყოველდღიურად გვეუბნება უკვე დაუფარავად, რომ ეს სახელმწიფო კი არ არის, მისი დუქანია. საზოგადოების ყველა ჯგუფში დღითიდღე უკმაყოფილება ზღვარს აღწევს.

ეს ყველაფერი როგორ მთავრდება, კარგად ვიცით. ამის არაერთი მაგალითი ყოფილა თუნდაც საქართველოს უახლეს ისტორიაში და თუნდაც სხვა სახელმწიფოებში.

# აფინანსებდა თუ არა მამუკა ხაზარაძე ოპოზიციის აქციებს

შორენა მარსაგიშვილი

## ზვიად კუპრავა: „მივმართავ ხელისუფლებას, თქვენ მიიღებთ ასანჯს საქართველოში“

**სამართალდამცავთა რეფორმირების ხელმძღვანელ ზვიად კუპრავას 21 თებერვალს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავებმა იციან, სად იმყოფება კუპრავა, მისი დაკავება რაღაც მიზეზებით გაჭიანურდა.**



გაერთიანებული ოპოზიციის შტაბში მყოფმა კუპრავამ 22 თებერვალს საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც მშობლიურ ხელისუფლებას და საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს მიმართა.

ის „ოცნებას“ მოუწოდებს, დაუყოვნებლივ მოხდეს მის წინააღმდეგ აღძრული ორივე საქმის უკან გაწვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პირობას დებს, რომ ხელისუფლება საქართველოში ასანჟს მიიღებს.

რას გულისხმობს, როცა ამბობს, რომ ხელისუფლება ასანჟს მიიღებს, აფინანსებდა თუ არა მას მამუკა ხაზარაძე, რა ვერ აპატია ხელისუფლებამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ჯერ კიდევ თავისუფალი ზვიად კუპრავა ესაუბრა.

**ზვიად კუპრავა:**

– მე ნამდვილად ვარ რეპრესიული მანქანის და რეჟიმის მსხვერპლი. მე ვიდევნები ამ ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით. მე ვარ საქართველოს მოქალაქე. მე მაქვს უფლება, ვიცხოვრო მშვიდად ამ ქვეყანაში და არ ვიყო დევნის ობიექტი. ამავდროულად, მე მინდა მივმართო საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გაიწვიეთ ორივე საქმე სასამართლოდან, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მიიღებთ ასანჟს საქართველოში.

***– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ თქვენი სახით მიიღებენ საქართველოში ასანჟს? თქვენი ეს განცხადება ერმა ისე აღიქვა, რომ თქვენ სკანდალური ინფორმაციების გამოქვეყნებას აპირებთ. ამას გულისხმობთ ასანჟობაში?***

– არანაირი სკანდალური ინფორმაციების გამოქვეყნებას არ ვაპირებ, მე არ მაქვს ვიკილიქსი. როცა ვამბობდი საქართველოში ასანჟს მიიღებენ, ვიგულისხმე ის, რომ ეს ადამიანი 4 წელი ცხოვრობდა ეკვადორის საელჩოს ტერიტორიაზე.

იმ დროისთვის, როცა ამ ინტერვიუს ვწერთ, გაერთიანებული ოპოზიციის ოფისში ვიმყოფები. აქ რომდემდე უნდა ვიყო შეკედლებული? ამიტომაც საელჩოებს ვთხოვე თავშესაფარი.

მიუხედავად იმისა, რომ დაკავების მოლოდინში ვარ, მაინც სამუშაო რეჟიმში ვიმყოფები. აქ, ჩემთან ერთად არიან ჩემი მეგობრები. არავის არა აქვს ჩამოშვებული ხელები და დაღვრემილი თვალები. ყველანი მზად ვართ ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ამ ქვეყანას უკეთესი მომავალი ჰქონდეს.

სრულიად შესაძლებელია, რომ მე დამაკაონ, რის შემდეგაც მედიასთან ურთიერთობა შემეზღუდება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი რამე მინდა გითხრათ. მინდა იცოდეთ, თუ რატომ ვერ მოახერხა ბიძინა ივანიშვილმა ჩემი დისკრედიტირება.

ის, რომ მე პანღური ჩამიდეს და სხვისი თეფშიდან ჭამის გამო მასამართლებენ, ოლიგარქის დიდი მარცხია. ივანიშვილის დიდი მარცხია ისიც, რომ მე გაერთიანებული ოპოზიციის ოფისში ვარ და ინტერვიუს ვიძლევი. აშკარაა, რომ ხელისუფლება ფრთხილობს – ისინი არ ჩქარობენ ჩემ დაკავებას.

მათ ძალიან კარგად იციან, რომ მე არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის მიერ კონტროლირებადი არა ვარ, შესაბამისად, მათ არ იციან, რა სიურპრიზები დახვდებათ, ჩემ დასაკავებლად რომ მოვლენ.

### სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს თავშესაფარი სთხოვა

უკვე წლებია, ვამხელ ხელისუფლებას. გასულ წელს განსაკუთრებულად აქტიურად დავუპირისპირდი რეჟიმს. არასდროს არ დავქვემდებარებულვარ შანტაჟს. დედამიწის ზურგზე ვერავინ იტყვის, რომ კუპრავას ფული გადავუხადე. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ხელისუფლებას ჩემი ეშინია.

მათ ჩემი იმიტომ კი არ ეშინიათ, რომ რაიმე განსაკუთრებულ უნარებს ვფლობ, უბრალოდ, მათთვის არაპროგნოზირებადი ვარ. სხვა მხრივ, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ.

***– ჩვეულებრივი ადამიანი ხართ, რომელმაც ძალიან ბევრი პრობლემა შეუქმნა „ოცნებას“. როდესაც სასამართლომ თქვენ პატიმრობა შეგიფარდათ, სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ ხელისუფლებამ დათუნა სარალიძე არ გაპატიათ. ხორავას ქუჩის საქმეზე თქვენ მართლაც ბევრი სკანდალური ფაქტი გაასაჯაროეთ. არანაკლებ სკანდალური ფაქტები გაქვთ გასაჯაროებული მაღალჩინოსნებზე, მაგალითად, გახარიაზე. თქვენ სახელს უკავშირდება კახეთში კანაფის პლანტაციების აღმოჩენაც. რატომ გგონიათ, რომ დათუნა სარალიძე არ გაპატიეს, იქნება სხვა საქმეა თქვენი დევნის მიზეზი?***

– ესენი ბევრჯერ ვამხილე. ბოლო მხილება იყო ლიეჟის საქმე. ამათ მიერ ბელგიაში გამოგზავნილი ზონდერები ემიგრანტებად ასაღებდნენ თავს. ყველა მათგანს თვითმფრინავში ფოტოები გადავუღე.

დათუნა სარალიძის საქმე კი ყველაზე მთავარია. ეს არის ის საქმე, რომლისთვისაც ღირდა ცხოვრება. როცა დათუნას მკვლელების დასჯის მოთხოვნით რუსთაველზე აქციებს ვმართავდით, ეს ჩემთვის ყველაზე ამაღლებული პერიოდია.

იმაზე დიდი განცდა არ არის, როცა სამართლიანობისთვის იბრძვი და ამას შიშველი ხელებით, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე აკეთებ. არაერთი ჭორი მომისმენია, რომ იმ აქციების დროს ხაზარაძე მაფინანსებდა.

***– მამუკა ხაზარაძეზეა საუბარი?***

– მამუკა ხაზარაძეზე. ამასთან დაკავშირებით მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ნეტავ დავეფინანსებინეთ.

***– რატომ ნეტავ?***

– დღეს ხაზარაძეც თავისუფალი იქნებოდა თავის ბიზნესში, დათუნა სარალიძის საქმეში სამართლიანობა აღდგენილი იქნებოდა და ხელისუფლება, დიდი ალბათობით, ოპოზიციაში იქნებოდა.

***– „ოცნების“ წარმომადგენლები უკვე მიიპარებიან ოპოზიციაში.***

– ეს ლოგიკური გაგრძელებაა იმ 7 წელიწადის, რომლის დროსაც მთელი ქვეყანა თავზე დაიმხეს. ახლა იძულებული არიან, ოპოზიციაში წავიდნენ.

მამუკა ხაზარაძე თავის ბანკიდან არის გაგდებული. წაქცეულ ადამიანზე არ მიყვარს რამის თქმა, ამიტომაც არ ვიტყვი, რას ვფიქრობ მასზე. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მას შეეძლო, განეხორციელებინა ის იდეები და ფიქრები, რაც მას ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ივანიშვილის შანტაჟს დაექვემდებარა, მას ყველა გზა და ბილიკი მოეჭრა.

***– ხაზარაძეს შეეძლო თავისი იდეების და ფიქრების განხორციელებაო. უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ, რას გულისხმობთ?***

– ამ შემთხვევაში ანაკლიის პორტის მშენებლობას ვგულისხმობ, რომელსაც გადააყოლეს კიდევაც.

***– ისე, ხაზარაძესთან გქონდათ რაიმე კომუნიკაცია?***

– არც ხაზარაძესთან, არც მის რომელიმე წარმომადგენელთან არანაირი კომუნიკაცია და შეხვედრა არ მქონია. მიუხედავად იმისა, რომ აქციების დროს ძალიან კრიზისული პერიოდი გვქონდა. რომელიმე ბიზნესმენი ჩვენს მხარდაჭერას თუ გადაწყვეტდა, ცხადია, დაველაპარაკებოდით, მაგრამ ხაზარაძეს ამის სურვილი არ ჰქონია.

ადამიანი ცოცხალია და ყველას

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# უჩა ნანუაშვილი: „ოცნება“ სასამართლოს აკონტროლებს, სისტემაში კრიზისია“

იაგო ნაცვლიშვილი

**პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა, რომ შეაჩეროს მოსამართლეთა უვადო დანიშვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ინიციატივით გამოდის, რომ პარლამენტმა უკან გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული არამოსამართლე წევრები, რომელთა გარეშეც საბჭო გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს. თუ ეს იდეა მხარდაჭერილი იქნება, მაშინ გამოწვეული იქნება ნაზი ჯანეზაშვილიც, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ხმალამოღებული მებრძოლია საბჭოში და ზოგადად სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე.**



## „იუსტიციის საბჭოს წევრების გამოწვევის ბერკეტი პარლამენტს არ აქვს, პასუხისმგებლობა ყველას ეკისრება“

როგორ აფასებს ამ იდეას და რას ფიქრობს ეკა ბესელიას გადაწყვეტილებაზე, როცა მან საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ყოფილი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საუბრობს:

***— შეაფასეთ თამარ ჩუგოშვილის ინიციატივა პარლამენტში, როცა მან იუსტიციის საბჭოს მიმართა, შეწყვიტონ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნები, თუ არ გააკეთებენ მაშინ პარლამენტის მიერ არჩეული არამოსამართლე წევრები გამოიწვიო, ეს გამოიწვევს ნაზი ჯანეზაშვილის გამოწვევასაც.***

— ის, რომ რეალურად ცოტა განსხვავებული მოსაზრება გაისმა პარლამენტიდან, ეს უკვე საინტერესოა. მაგრამ, ყველა ერთ ქვაბში არ უნდა მოიხარშოს და რეალურად გამოწვევის პროცედურები კანონით არ არსებობს. ეს, რა თქმა უნდა, საინტერესოა. ასეთი სტანდარტი არ არსებობს, როგორ უნდა მოხდეს გამოწვევა. საინტერესოა, როგორ უნდა მოხდეს ამის განხორციელება. მით უმეტეს, როცა საუბარია მხოლოდ ნაწილზე. მაშინ რატომ უნდა მოხდეს ამის მხოლოდ ნაწილზე გავრცელება?! ხაზს ვუსვამ იმ პროცედურებს, რაც კანონით არ არსებობს.

***— ანუ, ეს ჩანაწერი, რომ გამოწვევა შესაძლებელია, კანონში არ არსებობს?***

— არა. გამოწვევის ბერკეტი არ არსებობს პარლამენტში. მეორეც ის არის, რომ რატომ უნდა მოხდეს მხოლოდ ნაწილზე, როდესაც პასუხისმგებლობა ყველას ენიჭება. ამ პროცესში სხვა ჯგუფი უფრო მნიშვნელოვანია. ის ადამიანები, განსაკუთრებით, რომლებიც წლების განმავლობაში ცდილობდნენ სისტემის გაჯანსაღებას და საზოგადოებას გარკვეულ ინფორმაციას აწვდიდნენ, ანუ ისინი, ვინც რეალურად მუშაობდნენ გაუმჯობესებაზე, მაშინ რატომ უნდა მოხდეს მათი გამოწვევა?! ეს გაუგებარია!

***— ჩუგოშვილმა ახსნა თავის იდეა და თქვა, რომ მათ გარეშე ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებებსო.***

— კი ეს მცდელობაა, რომ რაღაცნაირად იქნება ალტერნატივა შესთავაზონ. მაგრამ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ყველა იმ პირმა, ვინც მხარი დაუჭირა უზენაესის იმ გახმაურებულ სიას და იმას, რომ სისტემა ყოფილიყო იმ მდგომარეობაში, რომელშიც დღეს არის. ამ პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა და პასუხისმგებლობა ყველამ უნდა აიღოს. უნდა იყოს ის მოთხოვნები შესრულებული, რასაც სამოქალაქო სექტორი აყენებს. მათ უნდა დატოვონ საბჭო და მათი წარდგენა აღარ უნდა მოხდეს.

***— ცნობილია ჩუგოშვილის კრიტიკული დამოკიდებულება საბჭოს მიმართ, მაგრამ ისიც ხომ არ დაინახეთ, რომ ვთქვათ, ჩუგოშვილმა ისევ „ოცნების“ იდეა გააჟღერა, რომ საბჭოს კიდევ ერთი ხმალამოღებული წევრის განეიტრალება მოხდეს?***

— არ ვიცი რა იგულისხმა. ალბათ უფრო ის არის, რომ რაღაცნაირად ცდილობენ ალტერნატიული იდეებით კომპრომისის მიღწევას. ეს კომპრომისი, ჩემი აზრით, შეუძლებელია. ისეა უკვე მდგომარეობა კრიზისში შესული, რომ ეს ვერაფერს ვერ შეცვლის. შექმნის რაღაც ილუზიას, რომ თითქოს რაღაც იმიტაცია შეიქმნება ცვლილებების და რეფორმების. ეს არის მიუღებელი, ილუზიები არ გვჭირდება. ჩვენ გვჭირდება რეალური ცვლილებები ამ სისტემაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა იყოს გათვალისწინებული. ეს მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა არ არის, ამას მხარს უჭერს პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი და ასევე საზოგადოებაც, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ ადამიანებმა დატოვონ საბჭო.

***— თუმცა, მეორე მხარეა რეალობა. როცა ამ ნაბიჯზე არც იუსტიციის საბჭო არ მიდის და არც „ქართული ოცნების“ ძირითადი ბირთვი, ამ ვითარებაში რა ბერკეტი რჩება?***

— ბერკეტი არის საზოგადოებრივი ზემოქმედება. საზოგადოება კიდევ უფრო აქტიური უნდა გახდეს, ამიტომაც მივმართეთ ჩვენ დიპლომატიურ კორპუსს, რომ მათი ინფორმირება მოხდეს ამ პროცესებზე. აუცილებელია, ყველა მნიშვნელოვანი პარტნიორი ამ პროცესში იყოს ჩართული და ეს ბრძოლა შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

***— საზოგადოების ჩართულობა რა მხრივ? ხომ არ აპირებთ ქუჩაში გასვლას და საპროტესტო აქციების გამართვას? ეს მინიშნება ბესელიამაც გააკეთა და თქვა, რომ საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციაა საჭირო.***

— დღესაც არის დაგეგმილი აქცია. ასეთი აქციები მნიშვნელოვანი იქნება. საზოგადოება ამ პროცესებს ასე გულგრილად არ უყურებს და მისი გამოხატვა ჯდება კანონის ფარგლებში და ვფიქრობ, ის ამას გააკეთებს.

***— ანუ აქციები უფრო და უფრო ხშირად გაიმართება, რომ პროცესი უფრო გააქტიურდეს?***

— ფაქტია, რომ სისტემაში კრიზისია. გამოსავალს ამ კრიზისიდან არ გვთავაზობს. პირიქით, უფრო და უფრო მწვავდება. პარლამენტის მოვლენები ამის დადასტურება იყო. აქედან გამომდინარე, რაღაც ნაბიჯები ხელისუფლების მხრიდან რეალურად უნდა გადაიდგას. სამწუხაროდ, ვერ ვხედავ, რომ ხელისუფლება სრულად და სწორად აცნობიერებს იმ მდგომარეობას, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი, განსაკუთრებით მართლმსაჯულების სფეროში.

***— ბესელიას გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ?***

— ეს ჩემი შესაფასებელი არ არის. ამ გადაწყვეტილებას აქამდეც ველოდი.

***— მან ჩამოაყალიბა რამდენიმეპუნქტიანი გეგმა, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებები, საბჭოს წევრების წასვლა და ახალი საბჭოს არჩევა და ა. შ. რამდენად განხორციელებადია ეს?***

— იცით რა არის, ეს ცვლილებები ადრე თუ გვიან მაინც მოხდება. სწორედ ის არის მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოებრივი აზრი მომწიფებულია იქით, რომ მართლმსაჯულება ქვეყნის ქვაკუთხედია. თუ მდგომარეობა არ შეიცვალა აქ, სხვანაირად ნებისმიერ რეფორმას აზრი ეკარგება. უნდა არსებობდეს სამართლიანი მართლმსაჯულება, რათა ნებისმიერი პრობლემის თუ უფლების შელახვის დროს ადამიანი წავიდეს სასამართლოში და ენდობოდეს მას. ეს სისტემა ქვეყანაში პრობლემურია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ეს იდეები განხორციელებადად არ ჩანდეს დღეს, მაგრამ ცოტა ხნის წინ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდა პარლამენტს, დღეს უკვე ეს აღარ არის. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ რეალისტური იდეებია. ამ მხრივ ცვლილებები გარდაუვალი იქნება.

***— „ქართული ოცნება“ უვადო მოსამართლეების დანიშვნის შეჩერებაზე აპელირებს იმით, რომ ეს სასამართლოს განახევრებას გამოიწვევს. რას იტყვით ამაზე?***

— ხელისუფლება ვერ აცნობიერებს იმ კრიზისულ ვითარებას, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. ხელისუფლებას აქვს პასუხისმგებლობა, რომ გარკვეულ საკითხებზე დაიწყოს პრობლემების მოგვარება. არ შეიძლება გაუთავებლად ერთსა და იმავეზე ვსაუბრობდეთ.

***— ვერ აცნობიერებს თუ სასამართლო ხელისუფლების საკუთარ კონტროლქვეშ მოქცევა უნდა?***

— ეს კონტროლი პრაქტიკულად უკვე არსებობს ჩემი ინფორმაციით. აქედან გამომდინარე, ის ვერ ელევა კონტროლს და იმ სიკეთეებს, რომელიც მას მოაქვს მისთვის. უბრალოდ, ეს სამწუხაროა, რომ 2012 წლის შემდეგ 6 წელია გასული და ჩვენ ისევ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ვსაუბრობთ და ისევ იმ პრობლემებზე ვმსჯელობთ, რაც მაშინ იყო, წლების წინ. ეს ყველაფერი რეალურად უკან ბრუნდება, ეს არის ყველაზე სამწუხარო აქ. აქ ბევრი რამე შეიძლება იყოს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება, რათა სისტემა გაჯანსაღდეს და მდგომარეობა შეიცვალოს. მე ამ პოლიტიკურ ნებას, სამწუხაროდ, ხელისუფლებისგან ვერ ვხედავ.

***— იუსტიციის სამინისტრომ წარმოგვიდგინა კვლევა, საიდანაც ჩანს, რომ სასამართლო დღეს ბევრად გაჯანსაღებულია.***

— არსებობს სხვა კვლევებიც. აქ ყველაფერი დამოკიდებულია მეთოდოლოგიაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომელ მონაკვეთზეა საუბარი. 2012 წლის შემდეგ სასამართლოში მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესდა, მაგრამ დღეს მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია და ბოლო წლებში მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

***— დაუბრუნდა 2012 წლამდე ნიშნულს?***

— ნიშნულზე არ არის საუბარი. არის საკითხები, სადაც მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესებულია. არიან ერთეული ღირსეული მოსამართლეები, რომლებიც ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას, მაგრამ აქ პრობლემაა ის სისტემა, რომელიც შეიქმნა და, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ამ ჯგუფის გაძლიერებას, რაც დღეს რეალობაა სასამართლოს სისტემის კონტროლი. რაც რამდენიმე წლის წინ ნამდვილად არ იყო. გარკვეული თავისუფლება არსებობდა და ეს გადაწყვეტილებებშიც აისახა.

ამიტომ ვამბობ, რომ დღეს და ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა იმ მიღწეულ პროგრესთან მიმართებაში.

# აფინანსებდა თუ არა მამუკა ხაზარაძე ოპოზიციის აქციებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შეუძლია, მას ამასთან დაკავშირებით დაუსვას კითხვა.

***— მართლა ამოარტყით თუ არა ადვოკატ ზაქარეიშვილს ხერხემლის ქვედა ნაწილში ფეხი, როგორც ეს ბრალდებაში წერია?***

— ამაზე რა უნდა გიპასუხოთ, სისხლის სამართლის საქმეში პირდაპირ პანღური ჩამიდეს. არავისთვის არ ამომირტყამს ფეხი.

მე ჩემს სიმართლეს აუცილებლად დავამტკიცებ და დაკავების შემთხვევაში ძალიან მალე გამოვალ ციხიდან. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ის უახლოეს თვეებს ვერ გადაიტანს. ისინი ძალიან ცუდად არიან მიმწყვდეული კუთხეში.

ნამდვილად არ ვიცი, ვინ ურჩია გახარიას ჩემი დაკავება. ჩვენ ამ ინტერვიუს ტელეფონით ვწერთ. ჩემი ყველა სატელეფონო საუბარი ისმინება და არც ამ საუბარს დატოვებენ უყურადღებოდ. ამიტომ ვისარგებლებ შემთხვევით და გახარიას ვეტყვი, ვინც ჩემი დაჭერა გირჩია, მან მაგარი გაჭამათ, ბატონო გიორგი. ასეთი შეცდომა მომავალში აღარ დაუშვათ. თუმცა კაცმა არ იცის, გექნებათ თუ არა პოლიტიკური მომავალი საერთოდ.

***— ფიქრობთ, რომ გახარიას უნდა თქვენი დაჭერა და არა ივანიშვილს? ხომ ამბობენ, რომ ყველაფრის უკან „ოცნების“ ლიდერი დგას.***

— ჩემ წინააღმდეგ პროვოკაციებს გახარია გეგმავდა. ჯერ სხვისი თეფშიდან ჭამაო, ახლა პანღურის ამორტყმაო. სხვა რამე მაინც მოეფიქრებინათ, ეს თეფში და პანღური ძალიან უხერხულია.

***— სხვა რა უნდა მოეფიქრებინათ, ზონდერობა არ დაგიმტკიცდათ.***

— ზონდერობას ბევრი მაბრალებდა. ამტკიცებდნენ, აქციებს არბევდაო. ზონდერი თუ ვიყავი, რაღა პანღურის ამორტყმის გამო მაპატიმრებთ. ზონდერობისთვის გამასამართლეთ.

# „ბესელია ივანიშვილზე ჭკვიანურად იქცევა“

## რამაზ საყვარელიძე: „ბიძინამ, შესაძლოა, კობახიძის გუნდი გაწიროს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ფსიქოლოგი, ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.**

***— ბატონო რამაზ, ეკა ბესელიამ „ქართული ოცნება“ დატოვა და დამოუკიდებელი პოლიტიკური პლატფორმის შექმნას აპირებს. როგორც ამბობენ, ბიძინა განრისხებულია ბესელიაზე და ყველაფერი ამიტომ მოხდა. როგორია თქვენი შეფასებები?***

— ამ საკითხს შევხედოთ პოლიტიკური კუთხით, იმიტომ, რომ ადამიანური ურთიერთობის კუთხით ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ემოციები ცუდი მრჩევლები არიან პოლიტიკაში. ისედაც ცუდი მრჩეველია ემოცია და პოლიტიკაში — განსაკუთრებით. არადა, ივანიშვილს შეუძლია, ემოციები გვერდზე გადადოს.



***— ამ შემთხვევაში ვინ აჰყვა ემოციებს, ბესელია თუ ივანიშვილი?***

— ამ შემთხვევაში ივანიშვილი უშვებს შეცდომას. ერთი მხრივ, თუ ბესელიას მიმართ ემოციას აჰყვება, ისიც შეცდომაა, მოსამართლეების მიმართ ემოციას თუ აჰყვება, ისიც შეცდომაა. შეიძლება, მას მოსამართლეების მიმართ რაღაც სიმპათიები ჰქონდეს, ეგ სხვა საკითხია. პრაგმატულად, ემოციების გარეშე საკითხი დგას ასე: საზოგადოებას, სულ რომ ანგელოზები იყვნენ ეს მოსამართლეები, ამ მოსამართლეების არ სჯერა, რადგან საზოგადოებისთვის მიუღებელია ნაციონალური მოძრაობა თავისი წარსულით და ეს მოსამართლეები იყვნენ ნაციონალური მოძრაობის გამპრავებლები.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებაში“ მიხვდნენ, რომ ივანიშვილი არაფრის გარანტორი აღარ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

**პარლამენტის უმრავლესობაში გაჩაღებულ რღვევის პროცესსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.**

**შოთა მალაშხია:**

– ის, რაც ახლა პარლამენტში, ასევე მის გარეთ ხდება, საპრეზიდენტო არჩევნების გაგრძელებაა. ეს არჩევნები რომ გაყალბდა და ძალადობის ფონზე გაიმართა, მსოფლიომ შეიტყო. ამაზე მეტყველებს საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციების საშინლად უარყოფითი დასკვნები ამ არჩევნების თაობაზე.

***– უმრავლესობის წევრებზე ამან კატალიზატორივით იმოქმედა?***

– უმრავლესობაში გააცნობიერეს, რომ „ქართული ოცნების“ ადგილი ბიძინა ივანიშვილის ფრთის ქვეშ შემცირდა. ამ პოლიტიკოსებსა და მაღალჩინოსნებს ხალხი და სამართლიანობა არ ადარდებთ. მათ შესანარჩუნებელი და გასაზრდელი აქვთ უძრავ-მოძრავი ქონება. ამ პოლიტიკოსებს თავი აქვთ გადასარჩენი. „ქართულმა ოცნებამ“, 2012 წლიდან მოყოლებული, ყველა არჩევნების წინ უთვალავი დაპირება გასცა. ხალხის დარდი ჰქონდეთ, ერთი-ორ დაპირებას მაინც შეასრულებდნენ და სინდისის ქენჯნას იგრძნობდნენ იმის გამო, რომ პენსიონერებსა და ბავშვებს და სხვებსაც შიათ და სცივათ.

***– „ქართული ოცნებიდან“ გამოყოფილებს, თუ ისინი გულწრფელად ემიჯნებიან ივანიშვილს, რისი იმედი უნდა ჰქონდეთ? შეძლებენ საპარლამენტო საარჩევნო ზღურბლის გადალახვას?***

– მათ ამის შანსი არ აქვთ. საერთოდ, რაც უფრო მეტს იყვირებენ, უფრო მეტად შთაინთქმებიან დიდ ჭაობში. ხომ ხედავთ, როგორ აბეზღებენ ერთმანეთს? „ქართულ ოცნებაში“ ალაპარაკდნენ იმაზე, რაზეც ჩვენ, ოპოზიცია, წლებია, განგაშს ვტეხდით. ბესელია თავის გადასარჩენად იძულებულია, ბრძოლა გამოუცხადოს ივანიშვილს.

***– ბესელია ებრძვის კობახიძეს, ზარდიაშვილს, ჩინჩალაძეს, მაგრამ არა – ივანიშვილს.***

– მალე ივანიშვილზე მეტს იტყვის. აბა, ივანიშვილს საფლავში რატომ ჩაჰყვება? თუ გაჩერდა, დაიღუპება. ივანიშვილს შეუძლია ბესელიას დაჭერა.

***– დაეყრდნობა თუ არა ივანიშვილი სხვა ახალ ან ძველ პოლიტიკურ ძალებს?***

– ამის სურვილი უდავოდ ექნება. აქ საყურადღებოა ერთი მომენტი – ივანიშვილს არ შეუძლია რაიმეს აშენება და შექმნა. მის ბუნებაშია ყველაფრის მოსპობა. თავის დროზე ამ კაცმა ფული რეკეტითა და დანაშაულით იშოვა. მას ეხერხება ნაძარცვის ან იაფად ნაშოვნის ძვირად გაყიდვა, მაგრამ არაფრის შექმნის უნარი მას არ გააჩნია არც ანაკლიაში და არც სხვაგან.

***– მამუკა ხაზარაძის დარჩენამ ანაკლიის პროექტში გააჩინა აზრი, რომ ანაკლიას აღარავინ შეეხება.***

– ანაკლია მიბმული იყო თიბისი ბანკზე. ამ ბანკს უკვე მიადგა უზარმაზარი ზარალი. ამით სახელმწიფომაც იზარალა. ივანიშვილი გააგრძელებს თავის დამანგრეველ მოქმედებებს და არც ანაკლიას დაინდობს. მისი მოქმედებების შედეგია ისიც, რაც პარლამენტში ხდება. ეს ორგანო ვერანაირად ვერ ჩაითვლება პარლამენტად.

***– ამ მოწვევის პარლამენტს თქვენ თავიდანვე მიწასთან ასწორებდით და აცხადებდით, რომ ეს არ არის ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო.***

– გადატრიალების შემდეგ, 1992 წელს რომ ჭრელი და ხმაურიანი პარლამენტი გვქონდა, სადაც, ფაქტობრივად, ყველა შეყარეს, ამ პარლამენტს ისიც კი ბევრად სჯობია. ესენი ძალიან ცუდად დაამთავრებენ.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– საქართველოში მოქმედებს არაფორმალური მმართველობა. ამაზე ლაპარაკობს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია. ეს ფაქტია, რომელიც არ იმალება. ჩვენ თვალნათლივ ვაკვირდებით დამანგრეველ პროცესებს. იშლება სტრუქტურები – აღარც პოლიცია გვაქვს, აღარც პროკურატურა, ჯარი მშიერია, საბავშვო ბაღებში პატარების გამოკვება საშიში გახდა.

ცოტა ხნის წინ ვინ იფიქრებდა, რომ ჯარს საკვები არ ექნებოდა, საბავშვო ბაღებში კი ცხენისა და ვირის ხორცი შევიდოდა! გაუარესდა როგორც პენსიონერების, ისე დასაქმებულების მდგომარეობა. დასაქმებულებს რეკეტს უწყობენ – უნდა ადამიანს თუ არა დაგროვებითი პენსია, მაინც ბეგრავენ. დაპირება მომავალში ამ თანხების დაბრუნებაზე სანდო არ არის.

ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ქართული სახელმწიფო არ არსებობდეს. რუსეთის მიზანიც ეს არის. საერთაშორისო არენაზე საქართველოს არავინ ახსენებს.

***– როგორ განვითარდება დაწყებული მოვლენები?***

– უმრავლესობის წევრები თვითონ აფორმებენ თავიანთ დასამარებას. თუ 2020 წლამდე მიაღწიეს, რა უნდა უთხრან ამომრჩეველს? სათქმელი არ დარჩათ.

***– ეტყვიან იმავეს, რასაც აქამდე ეუბნებოდნენ.***

– ახლა უფრო რთულად აქვთ საქმე. უნდა გამოვიდნენ და თქვან, რომ ხალხი გაალატაკეს,



რომ საქართველო იცლება, რომ ვინც დასაქმებულია, იმასაც არეკეტებენ. ქვეყანაში ნორმალურად მოქმედი ინსტიტუტი აღარ დარჩა. სამაგიეროდ, ალბათ, თავიანთი ფეშენებელური სამ და ოთხსართულიანი სახლები ექნებათ. ხალხს იმასაც ეტყვიან, რომ განათლება მოსპეს და ამ სფეროში „ანონიმშჩიკების“ პრაქტიკა აღორძინეს.

***– კერძოდ?***

– განათლების მინისტრი სხვებთან ერთად ჩარეული იყო ზუგდიდის მეექვსე სკოლის დირექტორის მკვლელობაში. ეს მოხდა ანონიმური წერილის გამოყენებით. მასზე იყო არარსებული ადამიანის ხელმოწერა.

ამ წერილის საქმეში ჩართვით სიკვდილამდე მიიყვანეს პატიოსანი განათლების მუშაკი, თან ეს ხელისუფლება ხალხს სამართლიანობას ჰპირდებოდა.

გულიკო ბალაძე

# თემურ შაშიაშვილი: „სააკაშვილს დღევანდელი ხელისუფლების სისუსტე აძლიერებს“

## საქართველოში საპარლამენტო მმართველობა არის შეცდომა

**ვინ დააფინანსა თემურ შაშიაშვილი ბელგიასა და საფრანგეთში ვიზიტისთვის? რა ჰქონდა სათქმელი ქართველ ემიგრანტთა კრებისთვის? „ახალ თაობას“ „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ესაუბრა.**

***– ბატონო თემურ, რატომ წახვედით ლიეჟში?***

– დამოუკიდებლობის შემდეგ ხელისუფლებაში ტაშის მკვრელები მოვიდნენ, რაც უბედურებაა. ტაშმა შეიწირა ძალიან ბევრი ეროვნული ადამიანი და იწირავს დღესაც. ლიეჟშიც ტაშის მოყვარულები შეიკრიბნენ. მე იქ რამდენიმე ორგანიზაციას წარმოვადგენდი: „ქართველთა ერთობის დარბაზს“, „მეცნიერთა კონგრესს“, „ეროვნული თანხმობისთვის“, „საქართველოს ხალხთა ასამბლეას“, „ქართულ-ოსურ მისიას“.

***– რა ჰქონდა სათქმელი ქართველი ემიგრანტებისთვის თემურ შაშიაშვილს?***

– უნდა მეთქვა, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უნდა შეცვლილიყო მართვის სისტემა. საქართველო მისი ეროვნული ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს და, შესაბამისად, ეროვნული მართვის სისტემა უნდა შექმნილიყო. მართვის სისტემა არ შეიქმნა და ემოცია, ამბიცია და ბოროტება ბატონობს. ქუჩამ დაიპყრო პოლიტიკა, აკადემიური ყველაფერი დაიკარგა.

ქვეყანაში მართვის სისტემა ავადმყოფია და მართვის სისტემა ეძებს ავადმყოფ ადამიანებს, ძლიერებს ებრძვის. ძლიერებს სჭირდებათ თავის დამკვიდრება, სუსტი კი წინ მიდის. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში სუსტთა ხელისუფლებებია. ავადმყოფი სისტემა არა თუ შეიცვალა, ავადმყოფობა უფრო ძლი-



ერდება.

ავადმყოფი სისტემის ერთი მახასიათებელია, ერთი პარტიის წარმომადგენლები იკრიბებიან და ვერ იტანენ სხვა კაცის შესვლას. შეიკრიბება „ოცნება“ და ვერ შეხვალ შიგ, შეიკრიბება ნაცმოძრაობა და ვერ შეხვალ შიგ. იკრიბებოდა მოქალაქეთა კავშირი და ვერ შეხვიდოდი შიგ. მე მოქალაქეთა კავშირის წევრი არ ვიყავი და მეუბნებოდნენ, ჯერ მოქალაქეთა კავშირში შემოდი (ასე მეუბნებოდნენ რეფორმატორები) და მერე შემოხვალ ჩვენს შეხვედრებზეო. მაშინაც ვეუბნებოდი, რომ ეს არის კატასტროფა.

1995 წელს ვთქვი, სისტემაა ავადმყოფი და ნუ ებრძვით პიროვნებებს-მეთქი. სუსტი მოდის ხელისუფლებაში და მასზე სუსტს ეძებს ქვემოთ, ძლიერების ეშინიათ.

***– ამბობთ ხელისუფლებაში სუსტები მოდიანო, ანუ პარტიებია სუსტი?***

– დიახ. პარტიული სამთავროები თუ არ დაიმსხვრა, ქვეყანას მომავალი არ ექნება. მთავარია სისტემის შექმნა და სისტემური აზროვნება. ხელისუფლებაში ვერ მოვიდა ვერც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც სისტემურად იაზროვნებდა. საქართველოს პარტიებში დღეს ზნეობის დეფიციტია, ხოლო ზნეობრივ ადამიანებში პარტიების მიუღებლობა. არც ერთ გონიერ და ზნეობრივ ადამიანს პარტიაში შესვლა არ უნდა. საქართველოს კანონმდებლობით თუ არ ხარ პარტიის წევრი, ვერ იქნები ხელისუფლებაში, ანუ ხელისუფლება ხელს უწყობს სუსტთა ხელისუფლების მოსვლას.

სისტემის შეცვლა შეუძლიათ მეცნიერებს. ბედნიერია ქვეყანა, რომელიც მეცნიერებს ეყრდნობა. საქართველოში პოლიტიკოსებს გვგონია, რომ ყველაფერი ვიცით, ჩვენ მივიყვანეთ ქვეყანა ამ მდგომარეობამდე. მეცნიერებმა და ინტელიგენციამ ასპარეზი დაგვითმეს. გაყუჩებული მეცნიერება და ინტელიგენცია ქვეყნისთვის დამანგრეველია.

***– ლიეჟში რა მოხდა?***

– ლიეჟში არაფერი მომხდარა ისეთი, რასაც არ ველოდი, მაგრამ ლიეჟში მოხდა 26 მაისზე ცოტა უარესი. წარმოიდგინეთ, გვერდით პიროვნება რომ მიდგას, მეუბნება, თუ არ გაჩერდები, შეიძლება უკან შარვალი გაგეჭრასო. ფეხებში მირტყამდნენ ისე, როგორც 26 მაისს გვირტყამდნენ. ორი დღე ფეხზე ვერ ვდგებოდი, პირველად მომინდა ფეხზე მდგომს ძილი. ის ადამიანები ამერიკიდან ჩამოიყვანეს და მეუბნებოდნენ, ჩვენ მოვედით ჩვენი ბელადის მოსაფერებლადო.

კაცი ტყიბულიდან წავიდა, 17 წელი ამერიკაში იცხოვრა, ჩამოვიდა ლიეჟში და მეუბნება, ბატონო თემურ, გიცნობთ და ნუ შეგვიშლი ხელს, ჩვენ ჩვენს ბელადს უნდა მოვეფეროთო. ეს ხომ კატასტროფაა. როგორ შეიძლება ასეთი ადამიანი მოგწონდეს ან ასეთი ადამიანი იყოს შენ გვერდით. ქართველთა მსოფლიო კრება ტარდება და ერთი ფურცელი ვინმეს დაწერილი არ უნახავს. არავის უთქვამს, რის გაკეთება უნდათ, ან რა პროგრამა გააჩნიათ.

მე ჩავედი პროგრამით, რომელიც მეცნიერებმა შეიმუშავეს, ჩავიტანეთ 200 წიგნი, რომელიც იქ დავარიგეთ, მაგრამ დაცვამ ჩამოართვა ადამიანებს. იქ ჩავედი იმის სათქმელად, რომ სისტემაა შესაცვლელი. მე არავის არ ვებრძვი, მე ვიბრძვი საქართველოსთვის. მინდა, მორალური და გონიერი ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში. სააკაშვილს აძლიერებს დღევანდელი ხელისუფლების სისუსტე.

***– ამბობენ, ხელისუფლებამ ვილაცები გააგზავნა ლიეჟშიო.***

– ეს არის შეცდომა. ლიეჟში ჩასასვლელად ადამიანებს ფული გადაუხადეს. იქ მეუბნებოდნენ, მე ამდენი გადამიხადეს, მე იმდენი გადამიხადესო. ვინც გარედან ჩამოვიდა, 700 ევრო გადაუხადეს, ვინც აქედან წავიდა, 1700 ევრო გადაუხადეს. ფაქტობრივად, ორივე ძალა ერთნაირია.

***– ლიეჟში გასამგზავრებლად ვინ გაფინანსებდათ?***

– კითხულობენ, რა ფულით წავედი ლიეჟში. 5040 ლარი ავიღე სესხი და ბანკს უნდა დავუბრუნო უკან. ორჯერ მეტი უნდა დავაბრუნო (ბატონ ბიძინასი და „ლიბერთი ბანკი“ ერთმანეთთან გაერთიანებულა), გესმით თქვენ, ხალხო, რა საბანკო სისტემაა ქვეყანაში? ამას უნდა შევუტიოთ ჩვენ, რომ ხალხი გაყვლიფეს. ის კი არა, ხაზარაძესთან რა არის, თვითონ ბიძინას ბანკში რატომ არის ასეთი მაღალი პროცენტები? შეიძლება 35-40% იყოს წლიური, თანაც ჩემს ფულზე? სესხი ავიღე ჩემს ფულზე. 560 ლარს ვიღებ, 9 თვის წინასწარ ავიღე. ჩემგან იღებენ ორჯერ მეტს. ეს საბანკო სისტემა კი არ არის, ხალხის გაყვლეფაა.

***– როგორც კი გახმოვანდა, ლიეჟში ემიგრანტებთან შეხვედრის ჩატარების თაობაზე, იმთავითვე პიარდებოდა, რომ ამ შეხვედრას სააკაშვილი აწყობდა და ემიგრანტებთან ერთად საქართველოში შემოსვლას გეგმავდა. თქვენ მაინც რამ გაფიქრებინათ, რომ იქ თქვენს იდეებს გაიტანდით?***

– ნებისმიერ ადგილზე მივალ, სადაც ერთი ადამიანის გადარჩენა მაინც შემეძლება. მე იმ დარბაზში მჯდომი 100 ადამიანი უკვე გადავარჩინე იმ დროს, როცა სიტყვა არ მითქვამს. სიტყვა რომ მეთქვა, სრულიად სხვა სიტუაცია იქნებოდა. საქართველოში არასწორად ებრძვიან, ვთქვათ, იგივე მიხეილ სააკაშვილს. აქ ჰგონიათ, რომ სააკაშვილი უნდა მიატოვო და ბელგიაში საქართველოს ხელისუფლება უნდა ლანძღოს. არავითარ შემთხვევაში.

***– აბა, რა უნდა ექნათ?***

– თბილისში, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი რომ დაუთმოთ ბელგიელებს და ლანძღონ ბელგიის ხელისუფლება, ბელგიის საელჩო ძალიან სერიოზულ პრეტენზიებს წამოგვიყენებს, მე ვარ მოქმედი ხელისუფლება და თქვენ ჩვენს ლანძღვას ხელს უწყობთო. სააკაშვილი მსჯავრდებულია. ადამიანს საქართველოში მისჯილი აქვს ციხე, ამ დროს ბელგიაში ხელისუფლების ლანძღვით არის დაკავებული. თქვენ ეს არ გაფიქრებთ.

***– როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებამ ბელგიის ხელისუფლებისაგან სააკაშვილის დაპატიმრება რატომ არ მოითხოვა, მსჯავრდებული რომ არის?***

– არ ვიცი, საქართველოს ხელისუფლებამ იცის თუ არა, რას აკეთებს და რა უნდა აკეთოს. საქართველოში სააკაშვილი მოვიდა და ბოლმით ცხოვრობდა, ესენი მოვიდნენ და ბოლმით ცხოვრობენ. ბოლმით ცხოვრება არის უბედურება. ისეთივე რანგის ბელგიელმა პიროვნებამ, როგორიც სააკაშვილია, მსგავსი შეხვედრა რომ ჩაატაროს თბილისში, შეიძლება ბელგიამ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს. ჩვენ კი ამას ვითმენთ. მე თბილისში არ მომისმენია, სადმე, რომელიმე საელჩოსთვის ეთ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „ბესელია ივანიშვილზე ჭკვიანურად იქცევა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

პოლიტიკური კონტექსტიც აქვს ამ მოსამართლეების თემას და არ არის ეს მარტო სამართლის საკითხი. რადგან საზოგადოებას არ სჯერა, პოლიტიკოსი უნდა გაჰყვეს საზოგადოების თემას ან ძალიან მყარი არგუმენტებით დაუმტკიცოს მთელ საზოგადოებას მათი შეხედულების სისწორე.

კობახიძე როცა გამოდის და აცხადებს, ეს მოსამართლეები ადრე თუ ცუდად იქცეოდნენ, ახლა კარგად იქცევიანო, ეს არასერიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე.

***– ვინ ლობირებს ამ მოსამართლეების თემას ბიძინა ივანიშვილთან, რომ მოახერხა მისი დარწმუნება?***

– სავარაუდოა, რომ თვითონ კობახიძე – ის ფიგურირებს, როდესაც ლაპარაკია მათ დაცვაზე. მას დაეკისრა პასუხისმგებლობა. ბესელიამაც ასე განაცხადა, რომ კობახიძე და ეს ჯგუფი უჭერს მხარსო. ისე რომ, კობახიძე და მის გვერდით მდგომი იურისტები შეიძლება არიან ის ადამიანები, რომლებიც მფარველობენ ამ ჯგუფს ალბათ თავიანთი მოსაზრებების გამო, არ მინდა ვიგულისხმო, რომ დიდი ცოდვები აქვთ და იმიტომ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს მფარველობაც შეცდომაა.

***– საერთოდ ხომ არ გადაიყოლებს ეს თემა „ოცნებასა“ და ამ ახალგაზრდულ ფრთას?***

– დიახ, სწორედ მაგას მოგახსენებთ. 2020 წლისთვის ეს თემა ძალიან მძიმე ჟღერადობის იქნება. ამას დაემატება კიდევ ის, რომ ივანიშვილი დაგვპირდა რაღაცების გასწორებას და გასწორების მაგივრად მოსამართლეების პრობლემა ასე გადაწყვიტა.

***– სულ გვესმოდა შეფასებები, რომ ივანიშვილი ჭკვიანი და გამჭრიახია. თუ ასეა, რატომ ვერ ხვდება, რომ ითრევს ეს ჯგუფი თავის მოსამართლეებიანად? ეს რომ მარცხს მოუტანს 2020-ში, ეს ვერ გათვალა თუ რა ხდება?***

– ვერგათვლასაც არ გამოვრიცხავ. ადამიანი და ყველა ცოცხალი არსება ისეა მოწყობილი, ერთ საქმეში რომ ჭკვიანია, ეს არ ნიშნავს, რომ მეორეშიც ჭკვიანია. შეიძლება, ძალიან ჭკვიანი არის ივანიშვილი, მაგრამ პოლიტიკაში აქვს ისეთი შეცდომები, რომლებსაც შორსმჭვრეტელობით ვერ ახსნი.

არა მგონია, მისთვის სასიამოვნო ყოფილიყო ბოდიშის მოხდა, ანუ სიტუაციის ისეთ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ მას ბოდიში მოეხადა. ისევ ანალოგიური სიტუაციისკენ შემოტრიალდება საქმე, ყველაფერი ისე მიდის.

***– რას შეძლებენ ეკა ბესელია და მისი რამდენიმე თანამოაზრე დამოუკიდებლად?***

– ეკა ბესელია, ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებით, მკაფიო პოლიტიკურ ნაბიჯებს დგამს და ძალიან კარგ ალღოს ავლენს სწორედ პოლიტიკური თვალსაზრისით. გათვალა, მომენტი შეარჩია, განსხვავებულ აზრს უგდებს ყურს. ეს დიდი პლუსებია პოლიტიკოსისთვის.

გააჩნია, მომავალში როგორ მოიქცევიან, თორემ პერსპექტივები აქვთ. ჩემი ბევრი კოლეგა მიიჩნევს, რომ მათ რესურსები არ ეყოფათ, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ხალხისა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა იყო მაშინდელი ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი ვარდების რევოლუციის წინ, როდესაც ათკაციანმა ჯგუფმა ხელისუფლება შეცვალა.

საზოგადოების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. ცოტანი არიან, რა თქმა უნდა, მაგრამ საზოგადოებრივი მხარდაჭერა ძალიან დიდი ბერკეტია.

***– რას მოიმკის „ოცნება“ საბოლოოდ მოსამართლეების ასეთი მხარდაჭერით?***

– „ოცნება“ მოიმკის იმას, რაზეც თვითონ არ ოცნებობს. შეეჩვია ხელისუფლებას ეს ახალგაზრდა ჯგუფი და მათი მიზანი არ უნდა იყოს, რომ ხელისუფლება დაკარგონ, მაგრამ მაგისკენ მიდიან. შეჩერებას მაინც უნდა დათანხმებოდნენ ამ დანიშვნებისას. კონსტიტუციის მომიზეზება საბაბია და არა – მიზეზი, როცა კონსტიტუციური უმრავლესობა გყავს.

***– ანუ შეეძლოთ, ცვლილებები შეეტანათ?***

– თუ ნახავ, რომ კონსტიტუციაში წერია ისეთი რაღაც, რაც ცუდ შედეგს აძლევს შენს ქვეყანას, შეცვალე კონსტიტუციის ფორმულირება ისე, რომ გაასწორო ქვეყნის ინტერესებზე და არა ქვეყანა გაასწორო კონსტიტუციაში ჩაწერილ პოსტულატზე, მით უმეტეს, რომ კონსტიტუციის ბოლო რედაქცია კობახიძის გაკეთებულია და ამ ტიპის ფორმულირებებში ის გაითვალისწინებდა იმ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა დღეს.

***– „ოცნება“ კარგავს საკონსტიტუციო უმრავლესობას. გაიზრდება იმ დეპუტატთა რიცხვი, რომლებიც ბესელიას გაჰყვებიან?***

– შეიძლება, ეს რიცხვი გაიზარდოს, რადგან ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, საზოგადოების განწყობილება გამოკვეთილია თუ არა და გრძნობს თუ არა ამას პოლიტიკოსების ჯგუფი.

როცა საზოგადოების განწყობილება არის კრიტიკული, პოლიტიკოსები იცვლიან პოზიციებს და გადადიან სხვა მხარეზე. იმიტომ არ არის გამორიცხული, რომ ბესელიას ჯგუფი რიცხობრივად გაიზარდოს.

***– რას ელოდებით ივანიშვილისგან, რისი შეცვლა შეუძლია მას, რაიმე ახალს შემოგვთავაზებს?***

– დღეს და ხვალ – არა, მაგრამ არჩევნებთან მიახლოებულ პერიოდში ველოდები, რომ მან შეიძლება სწორედ ეს ჯგუფი, ვინც დღეს ლობირებს მოსამართლეებს, გაწიროს, თქვას, რომ მათ შეჰყავდათ შეცდომაში და ის, რასაც დღეს საყვედურობს საზოგადოება ივანიშვილს, მთლიანად ამ ჯგუფზე გადაიტანოს და თვითონ გათავისუფლდეს ამ ხარვეზებიდან.

ამ შემთხვევაში მას აუმაღლდება რეიტინგი. თუმცა ამას ახლა არ გააკეთებს, რადგან არჩევნებამდე ჩაქრება ის დადებითი ემოცია, რომელიც შეიძლება, ამ საკითხიდან გამომდინარე გაჩნდეს, ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ ის ბოლო მომენტს ელოდებოდეს და თავადვე რადიკალურად შეცვალოს სიტუაცია.

# აფხაზებმა იციან, რომ ჩვენ გარეშე ვერ იარსებებენ

გულიკო ბალაძე



**რუსმა სამხედროებმა ქართველ ჭირისუფლებს, ოკუპირებულ აფხაზეთში ოტობაია-ორსანტიას ხიდის გავლით, შესვლის უფლება არ მისცეს, რომ თავიანთი გარდაცვლილი დაეტირებინათ და სამგლოვიარო პროცესია პირდაპირ გამყოფ ხაზთან გაიმართა. ამ ფაქტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია გამოეხმაურა და აფხაზეთის საზოგადოებას მიმართა.**

– ძალიან მტკივნეული, შეიძლება ითქვას, ტრაგიკული მოვლენის მოწმე გავხდით. სამეგრელოსა და ოკუპირებული აფხაზეთის გამყოფ ხაზზე, ოტობაია-ორსანტიას ხიდთან, სამგლოვიარო პროცესია გაიმართა. კადრებში კარგად ჩანს, როგორ ელოდება ზუგდიდის მხრიდან ათობით ადამიანი გალში გარდაცვლილი 53 წლის გოჩა ტუფურიას მისვენებას ოკუპირებული აფხაზეთის მხრიდან, რათა ნათესავებმა მისი დატირება შორიდან მაინც შეძლონ.

ვინ არ იცის, როგორ პატივს სცემენ საქართველოში გარდაცვლილი ადამიანისთვის წესის აგებას, უახლოესი ადამიანების, ახლობლების მიცვალებულთან გამოთხოვების წმიდათა წმინდა მოვალეობას და ტრადიციას. განა, აფხაზებისთვის გარდაცვლილი ადამიანის დატირება, მისი სულის წინაშე მოწიწება უცხო იყო ოდესმე ან დღეს სხვაგვარად ხდება?

ქართველი კაცი, ისევე, როგორც აფხაზი, ხომ ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა, როგორც თვით გარდაცვლილის ხსოვნის, ისე, საზოგადოების წინაშე. მაშ რა მოხდა? როგორ უნდა ავხსნათ მსგავსი მოქმედება? მსოფლიო უნდა გავაკვირვოთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის მიმართ ველური დამოკიდებულებით?

ადამიანი მოკვდავია. სამწუხაროდ, ეს აქლემი ადრე თუ გვიან ყველას კართან დაიჩოქებს. არავინ იცის, ხვალ ვის რა ელის. უფიქრია ვინმეს, როგორ განიცდის ამას საკუთარი სახლიდან გამოძევებული, დევნილი საზოგადოება? მიუხედავად კონფლიქტისა, აფხაზებთან შეთანხმებით, წლების მანძილზე ვახერხებდით, რომ ჩვენი მიცვალებულები აფხაზეთში გადაგვესვენებინა და საგვარეულო სასაფლაოებსა და საძვალეებში დაგვეკრძალა. ეს არის ზნეობრივი კოდექსი, რომელსაც ორივე მხარე ვიცავდით. ის, რაც ჩვენ გუშინ ვნახეთ, გაუგონარი ამბავია და არც პირველი შემთხვევაა.

ნუ ავყვებით რუსულ გამოწვევას, რადგან მათ სურთ სამუდამოდ დატოვონ ჩვენ შორის ისეთი კვალი, რომლის გადალახვაც გაგვიჭირდება. ასეთ სათუთ საკითხებს აფხაზური საზოგადოება დამოუკიდებლად უნდა წყვეტდეს, რადგან ჩვენ საერთო წარსული გვაქვს და საკუთარი ადათ-წესებისადმი პატივისცემა და მოწიწება გვახასიათებს. მით უმეტეს, როცა ეს გარდაცვლილ ადამიანს ეხება.

მოგიწოდებთ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზ დედებსა და მამებს, მათ, ვინც ომში შვილები და ახლობლები დაკარგა. მოვიქცეთ ისე, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ. ადამიანურ, მორალურ კოდექსს, არც ერთ უმძიმეს ვითარებაშიც კი, არასოდეს აუკრძალავს ჭირისუფალთა და ახლობელთა გამოთხოვება მიცვალებულთან, – ნათქვამია მიმართვაში.

რატომ ვერ მოხერხდა 25 წლის განმავლობაში კონფლიქტის მხარესთან მოლაპარაკება ისე, რომ ოკუპაციური რეჟიმის მიუხედავად, ქართველებს თავიანთი გარდაცვლილების დატირება მაინც შეძლებოდათ და წელიწადში ერთხელ წინაპრების, ახლობლების საფლავებზე მისულიყვნენ?

**„ახალი თაობა“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავას ესაუბრა.**

***– ბატონო გია, წლების განმავლობაში რუსებთან და აფხაზებთან მოლაპარაკებები გვაქვს სხვადასხვა ფორმატში. კერძოდ, ჟენევისა, აბაშიძე-კარასინის ფორმატში. ტარდება შეხვედრები ასევე ჭუბურხინჯში. რატომ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ადამიანები აფხაზეთში თავიანთი გარდაცვლილების დასატირებლად მაინც რომ შესულიყვნენ დაუბრკოლებლად? ახლა რაც მოხდა ოტობაია-ორსანტიას ხიდთან, არანაირ მორალურ საზღვრებში არ ჯდება.***

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# თემურ შაშიაშვილი: „სააკაშვილს დღევანდელი ხელისუფლების სისუსტე აძლიერებს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ქვათ, რას შვრებით, ბატონებო, შეიძლება დარბაზი დაუთმეთ, რა პრობლემაა, მაგრამ როგორ შეიძლება, ბელგიაში პირველი სიტყვიდან მოყოლებული, ხელისუფლებისა და პიროვნებების ლანძღვა-გინება იყოს? ჯერ ერთი, თუ კაცი ხარ, ლანძღვა-გინებაზე არ უნდა იყო აგებული.

***– ანუ დაპირისპირება გადაიტანეს სხვა ქვეყანაში, ამ შემთხვევაში ბელგიაში?***

– მე იმასაც კი ვამბობ, მომავალში რომში ხომ ატარებს ღონისძიებას. თუ ეს ქართველთა კრებაა, ხალხის წინაშე ორივენი დავდგეთ. სააკაშვილს ამის ეშინია. სააკაშვილს ეშინია, გვერდით იდგეს პიროვნება, რომელსაც სხვა აზრი აქვს. სააკაშვილი კარგად გრძნობს თავს, როცა წინ ჰყავს მონები და არსებულ ხელისუფლებას ლანძღავს.

***– სააკაშვილს არ უნდოდა, რომ იქ თქვენ გესაუბრათ.***

– სიტყვა არ მომცეს. იქ მე ვიტყოდი იმას, რომ სისტემაა შესაცვლელი. თქვენ ხართ ის პიროვნება, რომელსაც პროგრამა გამოგიგზავნეთ, არაფერი გააკეთეთ, დღეს კი ის ჩვენი გამოგზავნილი პროგრამა გამოგაქვთ, როგორც თქვენი პროგრამა. როდესაც საქართველოში იყავით, მაშინ რატომ არ გააკეთეთ. თუ პიროვნება ბნელი არ არის, ამას რომ მოისმენს, იტყვის, კი ბატონოო. მე წაღებული მქონდა პროგრამა, წიგნები, რომელიც იქ დავარიგე, მაგრამ მათ დაცვამ ჩამოართვა.

***– სააკაშვილის დაცვამ ჩამოართვა?***

– რა თქმა უნდა, 50 კაცი იყო. თავთუხაშვილი იყო მისი დაცვის უფროსი.

***– ნაცმოძრაობის წევრებისაგან შემდგარი?***

– არ ვიცი, ნაცმოძრაობის წევრებია თუ არა, მაგრამ დაცვა იყო.

***– თავთუხაშვილი ნაცმოძრაობასთან ასოცირებული პირია, არჩევნების დროს მათთან იყო.***

– რა მნიშვნელობა აქვს, კაცი დაცვაშია და ფულს უხდიან თუ ნაცმოძრაობის წევრია, იცავდნენ. ამერიკაში 20 წელი რომ ცხოვრობ კაცი და ბელადზე ლაპარაკობ, იქ ლაპარაკი ზედმეტია, დამთავრებული. მე მეუბნებოდნენ, ბატონო თემურ, პატივს გცემთ და უხერხულობაში არ ჩავარდეთ, გამოცდილი პოლიტიკოსი ხართ და... მე ვუთხარი, ჩემზე ნუ ფიქრობთ, საქართველოა საფიქრალი, მე რა შუაში ვარ-მეთქი.

***– თქვენ სისტემის შეცვლაზე ამახვილებთ ყურადღებას. მოგეხსენებათ, ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობა იყო და სააკაშვილმა შეცვალა სისტემა და ქვეყანა გადაიყვანა საპარლამენტო მმართველობაზე. ივანიშვილის ხელისუფლებამ, შესაბამისად, მიიღო ახალი კონსტიტუცია და ქვეყანა საპარლამენტო მმართველობაზე გადააწყო, ანუ ამით სისტემა არ შეიცვალა?***

– როდესაც მოვიდა ეროვნული ხელისუფლება, საპარლამენტო რესპუბლიკა გადაკეთდა საპრეზიდენტო რესპუბლიკად. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ჩვენი ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა უნდა იყოს, თუნდაც იმის გამო, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა ქვეყანაში პრეზიდენტებია.

***– ისე, ახლა ჩვენი მართვის სისტემაში ისეთი არეულობაა, კაცი შვილი ვერ ხვდება, პრეზიდენტს რა უფლებამოსილებები აქვს და სხვა შტოების წარმომადგენლებს რა უფლებამოსილებები აქვთ.***

– ამიტომ ვამბობ, რომ საპრეზიდენტო მმართველობა უნდა იყოს. ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუციურად ისე შეცვალა, რომ ხალხს არც ჰკითხა. მე, მაგალითად, საპრეზიდენტო მმართველობის მომხრე ვარ. აბსოლუტურად არასწორად მივიჩნევ საპრეზიდენტო სასახლესთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ჯერ არ უნდა აშენებულიყო ის სასახლე, რადგან მის აშენებაში ჩაიდო ვეებერთელა ფული და ამაში სააკაშვილმა და მისმა გუნდმა დიდი ფული იშოვა.

ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენცია, 200 წლის შემდეგაც საპრეზიდენტო სასახლე იქნება, რაც უნდა შეიტანონ შიგ. ამ სასახლისთვის ფუნქციის შეცვლა შეცდომაა.

მართვის სისტემა სხვა რამ არის. დღევანდელი მართვის სისტემაში ყველაფერი ზეცენტრალიზებულია. ფინანსები თავს ცენტრში იყრის, თუ არ მოსწონხარ, არ მოგცემენ. ეს უკვე სისტემა აღარ არის, რაღაც სიმახინჯეა. ეკონომიკური სისტემა, აბსოლუტურად მახინჯია, რადგან ყველაფერს ყიდის ცენტრი, არავითარი უფლებები ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია. საერთოდ წაშალეს სოფლის როლი, საერთოდ წაშალეს ბევრი რამ, რაც ქვეყანას სამომავლოდ სჭირდება. მართვის სისტემაზე რომ ვლაპარაკობ, მეც არ ვარ იმისთვის მზად, რომ გითხრათ, ახლა მე რასაც ვამბობ, ის არის ჭეშმარიტება. ჩვენ ვეძებთ გამოსავალს.

***– თქვენ თქვით, სააკაშვილმა ისე შეცვალა საპრეზიდენტო მმართველობა, ხალხისთვის არც უკითხავთო, მაგრამ მახსოვს, 2008 წელს სააკაშვილის ოპოზიციამ გამოსავლის ძიებისას თქვეს, ჩვენ თუ მოვალთ, საპარლამენტო მმართველობას შემოვიღებთო. ვგულისხმობ იმ პერიოდს, გაჩეჩილაძე რომ იყრიდა კენჭს პრეზიდენტად.***

– მერე გაჩეჩილაძე ხალხმა ხომ არ აირჩია.

***– არ აირჩია, მაგრამ საპარლამენტო მმართველობის შემოღების იდეა, მოგვიანებით სააკაშვილმა გამოიყენა საპრეზიდენტო მმართველობის შესაცვლელად, უნდოდა ამის საშუალებით კიდევ რამდენიმე ვადით დარჩენილიყო ხელისუფლებაში.***

– ვერ გეტყვით, სააკაშვილმა რა იდეა აიტაცა, მაგრამ საერთოდ, საქართველოში საპარლამენტო მმართველობა არის შეცდომა. ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. რაც დრო გავა, ამას უფრო მეტად გავაცნობიერებთ. ამიტომ არის, რომ კაცი სტრუქტურებს გარეთაა და ქვეყანას მართავს. საპრეზიდენტო ქვეყანაში ასეთი რამ ნაკლებად არის შესაძლებელი.

***– ალბათ ივანიშვილს გულისხმობთ, რომელიც ბოლო პერიოდში მმართველი პარტიის თავმჯდომარე გახდა.***

– კი მაგრამ, პარტიის თავმჯდომარე ქვეყანას როგორ უნდა მართავდეს? პრეზიდენტი პრეზიდენტია და პარლამენტის თავმჯდომარე კი პარლამენტის თავმჯდომარეა. ბიძინა ივანიშვილი ჰაერივით საჭიროა ქვეყნისთვის, მაგრამ არა როგორც პოლიტიკოსის რანგში. ამით ის საკუთარ თავსაც ანადგურებს. არ შეიძლება ქვეყანა ივანიშვილისა და სააკაშვილის დაპირისპირებას ეწირებოდეს. საქართველოში პოლიტიკოსი ძალიან ცოტაა. მათ ჩამოსათვლელად ერთი ხელის 5 თითი საკმარისია.

***– პოლიტიკოსი ვინ არის?***

– ამას დიდი ფიქრი უნდა. პოლიტიკოსები რომ მეგონა, ისეთი სისულელეები გააკეთეს, რომ... პოლიტიკოსი უნდა იყოს მყარი. პოლიტიკოსია ის, ვინც დღეს თავშეწირვისთვის მზად არის. თქვენ იცნობთ ისეთ პოლიტიკოსს, რომელიც სიცოცხლის ფასად იმოქმედებს? მე პოლიტიკოსების 99% სულელს მეძახოდა. ახლაც, ბელგიაში რომ წავედი, იმის გამო ბევრი მეუბნება, რატომ წახვედი. რომ ჩაექოლეთო... მერე რა? თუ არ ხარ მზად, პოლიტიკიდან უნდა წახვიდე.

***– 25 წელია ისმის კითხვა, რა გვეშველება? გამოსავალს კი ვერ ვპოულობთ.***

– ვიდრე საქართველოს მოსახლეობა ფიქრობს, ან ბელადი გადაგვარჩენს, ან ოლიგარქი, არაფერი გვეშველება.

# ირინა ონაშვილის გაქურდვისთვის მისი დამხმარე ქალი დააკავეს

## დაკარგულია 10.000 ლარის სამკაულები



სამართალდამცავებმა „მის საქართველო 2003?-ის, ირინა ონაშვილის გაქურდვის ბრალდებით 45 წლამდე ქალი დააკავეს. დაკავებული ონაშვილის სახლში დამხმარედ მუშაობდა.

საუბარია, დაახლოებით, 10.000 ლარის ღირებულების სამკაულების ქურდობაზე. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავად ირინა ონაშვილმა განუცხადა, ფაქტი გასული წლის ოქტომბერში მოხდა, თუმცა, სამართალდამცავებს გვიან მიმართა.

ქურდობაში ბრალდებული ქალი 20 თებერვალს დააკავეს.

— დიდი მადლობელი ვარ ჩვენი პოლიციის, რომლებმაც ძალიან სწრაფად გამოიძიეს ეს საქმე. ფაქტი ოქტომბერში მოხდა, უბრალოდ გვიან განვაცხადე. განცხადების დაწერიდან ბევრი დრო არც გასულა. ის ჩემთან არც ისე დიდი ხანი მუშაობდა, — განაცხადა ონაშვილმა.

ბრალდებულ ქალს იურიდიული დახმარების ბიუროდან იცავს ადვოკატი, რომელიც, ბრალდებულის ოჯახის წევრების თხოვნით, მომხდართან დაკავშირებით, კომენტარს არ აკეთებს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ქურდობას, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჩადენილს დიდი ოდენობით.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებულ ქალს, რომელიც 3 მცირეწლოვანი შვილის დედაა, 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# „მერაბ კვირიკაშვილს ავარიის აცილება არ შეეძლო“

## ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორიგი პროცესი გაიმართა



ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის მორიგი პროცესი გაიმართა. პროცესზე ექსპერტი ზაქარია თეთრაძე დაიკითხა. როგორც ექსპერტმა განაცხადა, მისი მონაწილეობით ალტერნატიული და კომისიური ექსპერტიზა ჩატარდა. მისი თქმით, ვინაიდან შემთხვევაში ფიგურირებდა ღია ფერის დაუდგენელი ავტომობილი, რომელმაც საფრთხე შეუქმნა კვირიკაშვილის ავტომობილს და რამაც გამოიწვია მანევრირება, ამიტომ შესაძლებელი იყო, მოვლენები განვითარებულიყო ისე, როგორც მერაბ კვირიკაშვილი ამბობდა.

პროკურორმა ექსპერტს ჰკითხა, რატომ დაეყრდნო ექსპერტიზა ერთ-ერთი თვითმხილველის მხოლოდ მეორე ჩვენებას და რატომ არ გაითვალისწინეს მისი პირველი ჩვენება, სადაც ამბობდა, რომ გზაზე არანაირი დაბრკოლება არ შეუნიშნავს.

ექსპერტმა უპასუხა, რომ გამომძიებლებს მოწმისთვის მსგავსი კითხვა არ დაუსვამთ, მეორე ჩვენებაში კი ადასტურებდა მერაბ კვირიკაშვილის ინფორმაციას და ექსპერტიზამ ამ ინფორმაციით იხელმძღვანელა.

სხდომაზე დაიკითხა ექსპერტი იოსებ ჭელიძეც. მისი თქმითაც, არსებულ სიტუაციაში მერაბ კვირიკაშვილს შემთხვევის აცილება არ შეეძლო. პროცესს მოსამართლე მურთაზ კაპანაძე უძღვებოდა. სასამართლოში იმყოფებოდა მორაგბე მერაბ კვირიკაშვილი. მომდევნო პროცესი 15 მარტს ჩაინიშნა.

შეგახსენებთ, საქმე ეხება 2016 წელს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას, რასაც ოთხი ადამიანი ემსხვერპლა.

# ბათუმის ბულვარში 30 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

21 თებერვალს ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე, რესტორან „სანრემოს“ ქვეშ 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდამ თავი ჩამოიხრჩო. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში ამბობენ, რომ ადგილზე მისულ ბრიგადას ჩამომხრჩვალი ბიჭი დახვდათ. „პრაიმტაიმთან“ მომხდარს ადასტურებენ ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის პრესსამსახურშიც. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# აუდიტი: ფოთის მერის მოადგილეებმა მათზე გაცემული დანამატები უნდა დააბრუნონ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ხარჯები სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეამოწმა. შედეგად გამოვლინდა, რომ ფოთის მერის მოადგილეებზე დანამატები კანონდარღვევით გაიცა. საუბარია ჯამში 13.700 ლარზე. გაირკვა, რომ 2016 და 2017 წლებში ფოთის მერის მოვალეობას მოადგილეები ასრულებდნენ და ამისთვის მათზე სახელფასო დანამატები გაიცა, მაგრამ სახელფასო დანამატის გაცემის აღნიშნული წესი არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის მერიის-გამგებლის მოადგილესა და გამგეობის-მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე. აუდიტის სამსახურში მიაჩნიათ, რომ მერიამ უნდა უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება.

# რუსთავში მამა-შვილი ნათესავმა უგონო მდგომარეობაში იპოვა

რუსთავში ბუნებრივი აირით მამა-შვილი მოიწამლა. შუახნის მამაკაცი და 17 წლის ბიჭი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა. მამა-შვილი საცხოვრებელ ბინაში ნათესავმა უგონო მდგომარეობაში იპოვა.

# ანი აროშიძე: „მომაკვდავი მამის თვალწინ დამაპატიმრეს ბესელიას ვიდეოს ნახვის გამო, მამა 5 დღის შემდეგ გარდაიცვალა“



გოგონა, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამო დააკავეს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს.

ანი აროშიძის ღია წერილს პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი“ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს.

„მე ანი აროშიძე ვარ, 19 წლის.

31 იანვარს, ღამის 2-ის ნახევარზე, ჩემს სახლში შემოვარდა კრიმინალური პოლიციის ექვსი თანამშრომელი და საკუთარი ოჯახისა და მომაკვდავი მამის თვალწინ დამაპატიმრეს.

მამაჩემი ამ „ოპერაციიდან“ ხუთ დღეში გარდაიცვალა.

მე არ ვაბრალებ მამას სიკვდილს პოლიციელებს, მაგრამ მე ბრალს ვდებ ქართულ სახელმწიფოს იმაში, რომ მამაჩემს საკუთარი შვილის მომავალზე დარდი საფლავში ჩააყოლეს.

მე ახლაც ბრალდებული ვარ და სასამართლოს ველოდები.

მოგიყვებით, რა გადამხდა თავს.

პოლიციელები სახლში რომ შემოგვივარდნენ, სიმსივნის მეოთხე სტადიის დიაგნოზით ლოგინად ჩავარდნილი მამაჩემი უკვე სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

ის მოატყუეს, უთხრეს, რომ მოწმის სტატუსით მიბარებდნენ პოლიციაში და მალევე გამომიშვებდნენ სახლში.

ასე აღმოვჩნდი ციხეში.

ლოგინად ჩავარდნილი მამასთვის ნარკოტიკული ინექციის გარეშე ყოფნა წამებას ნიშნავდა, მორფინის გამოტანაზე პასუხისმგებელი პირი კი მე ვიყავი.

ჩემი გატაცება-დაპატიმრების შემდეგ დედას ერთი დღე დასჭირდა, რომ მორფინი ჩემ ნაცვლად გამოეტანა და ამ ხნის განმავლობაში ქართულმა სახელმწიფომ მამაჩემი წამებისთვის გაიმეტა.

ამიტომაც არ მაქვს უფლება, ეს საქციელი ვინმეს ვაპატიო.

მამაჩემის ნაცვლად ვერ ვაპატიებ.

ამიტომ გადავწყვიტე, ყველაფერზე გულწრფელად მოვყვე, მათ შორის, საკუთარ „დანაშაულზე“. ჩემი დანაშაული ისაა, რომ მე ვნახე ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და გავუგზავნე ის სამ მეგობარს არა საჯაროდ, არამედ პირად ჩატში, ისევე, როგორც სხვა უამრავმა ადამიანმა გააკეთა ეს.

არ მგონია, რომ ეს საქციელი მისაბაძია და ბოდიშს ვუხდი ქალბატონ ეკა ბესელიას ჩემი ბავშვური, უაზრო გართობის გამო, მაგრამ მე კრიმინალი არ ვარ, არასდროს ვყოფილვარ და მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს ამისთვის, დავამტკიცებ, რომ სახელმწიფო დამნაშავეა ჩემი ოჯახის, მამაჩემისა და ჩემი მეგობრების წინაშე, რომლებიც ამ აბსურდის გამო ახლაც ციხეში სხედან.

ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ პოლიცია სპეცოპერაციას ჩაატარებდა ჩემ დასაპატიმრებლად, თანაც ასეთი აბსურდული ბრალდებით.

ვერ წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა მომენტი, რომელიც ისე რადიკალურად შეცვლიდა ჩემს წარმოდგენას სამყაროზე, ადამიანებზე, თავისუფლებაზე, როგორც ციხეში გატარებულმა ამ რამდენიმე დღემ.

დღემდე არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი მე გადამხდა თავს.

ციხიდან კვირას გამომიშვეს, 1.000 ლარიანი გირაოთი — ეს მაქსიმუმი იყო, რისი სესხებაც დედაჩემმა შეძლო.

სამშაბათს მამა გარდაიცვალა.

მინდოდა, ყველაფერზე ხელი ჩამექნია და დავმალულიყავი, მაგრამ ჩემი მეგობრები ციხეში ისევ სხედან, იგივე ბრალდებით, და მე გადავწყვიტე, ყველაფერი გავაკეთო მათ დასახმარებლად.

გადავწყვიტე, მამაჩემს დავუმტკიცო, რომ მისი შვილი კრიმინალი არ არის.

ამიტომ მივდივარ საკონსტიტუციო სასამართლოში.

მე არ ვარ კრიმინალი, რადგან ჩემი მიზანი არ ყოფილა ვინმესთვის ზიანის მიყენება, მე არ გადამიღია და საჯაროდ არ გამივრცელებია კადრები და ვერასდროს წარმომედგინა, რომ დამიჭერდნენ იმ ვიდეოს გამო, რომელიც საჯარო სივრცეში — ინტერნეტში ვიპოვე და სამ მეგობარს ვაჩვენე.

მე არ ვარ კრიმინალი და გულისხმიერ ადამიანებს გთხოვთ, დამეხმაროთ ამის დამტკიცებაში“ — ნათქვამია ანი აროშიძის წერილში.

# თურქეთში დაკავებული ქართველი ფეხბურთელები ხელწერილით გამოუშვეს




თურქეთში დაკავებული ქართველი ფეხბურთელები გაუსვლელობაზე ხელის მოწერის საფუძველზე გაათავისუფლეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თურქეთში საქართველოს საკონსულოში განუცხადეს.

კონსული უკვე ესაუბრა საფეხბურთო კლუბის მწვრთნელს და სხვა წარმომადგენლებს და ამ დრომდე კონტაქტზეა მათთან.

— თარჯიმნის პრობლემა იყო და ამ ეტაპზე ყველაფერი გარკვეული არ გვაქვს, თუმცა კონსული ჩართულია ამ საკითხში. ამ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ფეხბურთელები პატიმრობაში არ დატოვეს და გაუსვლელობის გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ, თუმცა დანარჩენი დეტალები ამ დროისთვის უცნობია. მათ შორის ის, თუ როდემდეა ქვეყნიდან გაუსვლელობა, როდის გაიმართება სასამართლო სხდომა და ა.შ. დაზუსტებით ყველაფერს ვარკვევთ და მოგვიანებით საგარეო საქმეთა სამინისტრო გაავრცელებს ინფორმაციას, — განუცხადეს საკონსულოში „ინტერპრესნიუსს“.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში, ქურდობის ბრალდებით საფეხბურთო კლუბ „ცხინვალის“ ხუთი ქართველი ფეხბურთელი დააკავეს.

ანტალიის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში, ქურდობაში ეჭვმიტანილი 5 ქართველი ფეხბურთელი დააკავეს.

დაკავებულები „სპარტაკ ცხინვალის“ (ქართულ კლუბს „ცხინვალი“ ჰქვია. ეს მისი ძველი სახელწოდებაა. ავ.) მოთამაშეები არიან, რომლებიც თურქულ შეკრებაზე, ანტალიის დაბა ბელექში რამდენიმე დღის წინ, ზამთრის შეკრებაზე გაემგზავრნენ.

თურქული მედიის ცნობით, ქართველი ფეხბურთელები ანტალიის სავაჭრო ცენტრში, სპორტული აქსესუარების მაღაზიაში შევიდნენ. მაღაზიის დახურვის შემდეგ, კონსულტანტებმა აღმოაჩინეს, რომ მათ სპორტული ფეხსაცმელი, შორტი, შარვალი და მსგავსი 9 ნივთი აკლდათ, რის შემდეგაც პოლიციას გამოუძახეს.

სამართალდამცავებმა ადგილზე ვიდეოკამერები შეამოწმეს, სადაც დაფიქსირებული იყო ავტომობილი, რომლითაც ბელექიდან ანტალიაში გადაადგილდნენ ქართველი ფეხბურთელები და სწორედ ავტომანქანის ნომრის იდენტიფიცირების შემდეგ შეძლეს ეჭვმიტანილების დაკავება.

კამერის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ქართველი სპორტსმენები სავაჭრო ცენტრში 17 საათსა და 45 წუთზე შევიდნენ.

ხუთივე ფეხბურთელი — გიორგი ბ. კახა კ. პაპუნა მ. დათა ს. და გურამ მ. ხუთვარსკვლავიან სასტუმროში აიყვანეს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.

# გურიაში 46 წლის ოთარ მუქია მოკლეს



სისხლიანი გარჩევა მოხდა გურიაში — შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაჭრილი 46 წლის მამაკაცი 21 თებერვალს გვიან ღამით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ოთარ მუქია ტყვიამ იმსხვერპლა.

შემთხვევის შედეგად დაიჭრა კიდევ ერთი შუახნის მამაკაცი. მედიკოსების ინფორმაციით, გია ტუღუშის მდგომარეობა სტაბილურია.

შემთხვევა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში 21 თებერვალს, დღის ბოლოს მოხდა. გავრცელებული ვერსიით, მეზობლებს თავს უცხო პირი დაესხა და 2 გასროლა 15 წუთის ინტერვალით განახორციელა.

საგამოძიებო მოქმედებები შემთხვევის ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა.

მოგვიანებით პოლიციამ ბრალდებული დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული მ.ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. დანაშაული 8-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 თებერვალს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სანადირო თოფიდან გასროლით ორი ადამიანი: 1970 წელს დაბადებული ა.მ. და 1966 წელს დაბადებული გ.ტ. დაჭრა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის თანამშრომლებმა, ორივე დაჭრილი სტაციონარში გადაიყვანეს. სამედიცინო დახმარების მიუხედავად, ერთ-ერთი მათგანი — ა.მ. საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი მოსამართლის განჩინების საფუძველზე ლანჩხუთის რაიონში დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით“, — ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

# 200-მდე ამერიკელი სამშვიდობო სირიაში დარჩება



სირიიდან აშშ-ის ჯარის გასვლის შემდეგ იქ 200-მდე ამერიკელი სამშვიდობო დარჩება. ასეთი განცხადება გააკეთა თეთრი სახლის წარმომადგენელმა სარა სანდერსმა.

— ეს პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილებაა. ის დიდხანს და რუდუნებით მზადდებოდა, — ამბობს სანდერსი.

სირიის დემოკრატიული ძალები, თავის მხრივ, მიიჩნევენ, რომ სირიაში 6-10 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცის დარჩენაა აუცილებელი.

# მაიკ პომპეოს სენატორობა არ უნდა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ სენატორობა არ სურს.

— გამორიცხულია, რომ ჩემი მშობლიური კანზასის შტატიდან სენატში კენჭი ვიყარო, მე სახელმწიფო მდივანი ვარ და ამ პოსტზე დავრჩები მანამ, სანამ ეს პრეზიდენტ ტრამპს სურს, — თქვა მან.

# მაკრონი: „ანტისემიტიზმისთვის სასჯელი უნდა გამკაცრდეს!“



საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ებრაული სათვისტომოს წარმომადგენლებს შეხვდა.

პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა ქვეყანაში უკანასკნელ ხანს გახშირებული ანტისემიტური აქციების გამო.

— ანტისემიტიზმისთვის სასჯელი უნდა გამკაცრდეს! — მიიჩნევს საფრანგეთის პრეზიდენტი.

მაკრონმა აღნიშნა, რომ უნდა დაისაჯონ ისინიც, ვინც ებრაელთა თვითგამორკვევის უფლებას უარყოფს.

— ანტისიონიზმი ისეთივე დასჯადი ქმედებაა, როგორც ანტისემიტიზმი, — განაცხადა მაკრონმა.

# რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია მზადაა, უკრაინელების ავტოკეფალია აღიაროს



შედგა რუმინეთის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა.

განხილულ იქნა უკრაინული მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის აღიარების საკითხი.

რუმინეთი მზადაა, უკრაინელების ავტოკეფალია აღიაროს, ოღონდ ერთი პირობით: უკრაინის საეკლესიო და საერო ხელმძღვანელობამ რუმინელებს წერილობითი გარანტიები უნდა მისცეს, რომ ჩრდილოეთ ბუკოვინაში მოქმედ რუმინულ ეკლესიებს მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის უფლება ექნებათ.

ბუკოვინაში 125 რუმინული ეკლესია მოქმედებს.

# მადურომ ბრაზილიასთან საზღვარი ჩაკეტა




ვენესუელის პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს განკარგულებით, ბრაზილიის საზღვარი ჩაიკეტა.

მიზეზი კომიკურია: ბრაზილიიდან ვენესუელას ამერიკული ჰუმანიტარული დახმარება შემოაქვს.

— ვენესუელელები მათხოვრები არ არიან და ამერიკელთა დახმარებას არ საჭიროებენ, — თქვა მადურომ.

პრეზიდენტმა, შესაძლოა, კოლუმბიასთან საზღვარიც ჩაკეტოს.

— ჰუმანიტარულ დახმარებას რუსეთიდან ვიღებთ. მეტი არ გვჭირდება, — განაცხადა მადურომ.

ოპოზიციის ლიდერმა და პარლამენტის სპიკერმა გუაიდომ, რომელსაც 50-მდე ქვეყანა ვენესუელის დროებით პრეზიდენტად ცნობს, მესაზღვრეებს მოუწოდა, მადუროს უკანონო ბრძანება არ შეასრულონ და ხალხის მხარე დაიკავონ.

# შეტაკებები კატალონიაში

ბარსელონაში საპროტესტო აქციებია. მისი მონაწილენი სეპარატისტების ლიდერების გათავისუფლებას მოითხოვენ.

როგორც ცნობილია, სეპარატისტების ზოგი ლიდერი მადრიდში გადაიყვანეს, სადაც ისინი სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

პოლიციამ ბარსელონის აქციის დაშლა ცადა. მოხდა შეტაკება. დაზარალდა 430 მანიფესტანტი და 12 პოლიციელი.




# ნაზარბაევმა ყაზახეთის მთავრობა დაითხოვა



ყაზახეთის პრეზიდენტმა მთავრობა დაითხოვა.

ნურსულთან ნაზარბაევის მთავარი პრეტენზია მინისტრთა კაბინეტთან იყო ის, რომ მთავრობამ ვერ შეძლო დასახული ეკონომიკური ამოცანების განხორციელება.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ ნაბიჯით ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოების უკმაყოფილების დონე შეამციროს.

ის, რომ მთავრობა უნდა გადამდგარიყო, ნაზარბაევმა 20 თებერვალს განაცხადა, 21 თებერვალს კი ხელი მოაწერა შესაბამის ბრძანებას.

პრეზიდენტის განცხადებით, მინისტრთა კაბინეტმა ვერ შეძლო ინიცირებული მოდერნიზაციის განხორციელება და ვერ მიიღო ზომები, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო.

# სერბეთის პრემიერის ლესბოსურ ოჯახში ბავშვი დაიბადა

სერბეთის პრემიერ ანა ბრნაბიჩსა და მის პარტნიორ ქალ მილიჩა ჯურჯიჩს, რომელთანაც ის არაოფიციალურ ერთნაირსქესიანთა ქორწინებაშია, ვაჟი შეეძინათ.

დედა და შვილი, რომელსაც იგორი დაარქვეს, თავს კარგად გრძნობენ.

მილიჩა ჯურჯიჩი პროფესიით ექიმია. მან შვილი ხელოვნური განაყოფიერების დახმარებით გააჩინა.

სერბეთი ერთადერთი ბალკანური ქვეყანაა, სადაც მთავრობის ხელმძღვანელი ღია ლესბოსელია.

ბრნაბიჩი 43 წლისაა. განათლება მას აშშ-ის მიჩიგანის უნივერსიტეტსა და დიდი ბრიტანეთის ჰალის უნივერსიტეტში აქვს მიღებული. საჯარო ადმინისტრირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მინისტრის პოსტზე ის 2016 წლის აგვისტოში დაინიშნა, სერბეთის პრემიერ-მინისტრად კი 2017 წლის ივნისში აირჩიეს.

ეს პირველი შემთხვევაა მსოფლიოში, როდესაც მთავრობის ლიდერს მმართველობის პერიოდში გეი პარტნიორთან შვილი ეყოლა.

# გდანსკი: აქტივისტებმა იანკოვსკის ძეგლი აიღეს




პოლონეთის ქალაქ გდანსკში აქტივისტებმა კათოლიკე მღვდლის, გენრიკ იანკოვსკის ძეგლი აიღეს.

იანკოვსკი ანტიკომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი წევრი იყო, 2000 წელს კი არასრულწლოვნის მიმართ სექსუალურ ძალადობაში იქნა მხილებული.

გდანსკის საზოგადოება იანკოვსკის ძეგლის აღებას დაბეჯითებით მოითხოვდა. ხელისუფლებამ ამას ყური არ ათხოვა. ხალხმაც ძეგლი საკუთარი ინიციატივით აიღო.

# ეკვადორში 7.7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

ეკვადორში, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, 7.7 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა.

ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის გეოლოგიური სამსახური ავრცელებს.

მიწისქვეშა ბიძგები ადგილობრივი დროით 10:17 საათზე ქალაქ პალორადან 132 კილომეტრის დაშორებით დაფიქსირდა.

მიწისძვრის კერა 152 კილომეტრის სიღრმეზე იყო.

ინფორმაცია ნგრევასა და მსხვერპლზე არ გავრცელებულა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# მანჩესტერი სუპერმატჩის მოლოდინში



## სტატისტიკა, ფსონები

ევროპაში არც ამ უქმეებზეა სრული ტური და ისევ ინგლისის გამო. ნისლიან ალბიონზე ქვეყნის თასის ფინალია, სადაც ერთმანეთს ჩელსი და მანჩესტერ სიტი ხვდებიან, ამის გამო მათი ჩემპიონატში თამაშებია გადადებული. თუმცა, ერთი სუპერმატჩი იქაც იქნება — მანჩესტერი შინ დაუხვდება ლივერპულს.

საინტერესო მატჩებია სევილია-ბარსელონა ესპანეთში და დორტმუნდი-ლევერკუზენი გერმანიაში.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 ბარნლი-ტოტენჰემი | 5.25 | 3.7 | 1.7 |
| 23.02 ბორნმუთი-ვულვზი | 2.8 | 3.3 | 2.55 |
| 23.02 ნიუკასლი-ჰადერსფილდი | 1.8 | 3.3 | 5.0 |
| 23.04 ლესტერი-კრ.პალასი | 2.15 | 3.3 | 3.5 |
| 24.02 მანჩესტერი-ლივერპული | 3.0 | 3.5 | 2.3 |
| 24.02 არსენალი-საუთჰემპტონი | 1.5 | 4.4 | 6.5 |

**ბარნლი-ტოტენჰემი**

ბარნლი: ***ტრავმ***-აარონ ლენონი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ბენ დავისი, დელე ალი, ჰარი კეინი

**ბორნმუთი-ვულვზი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-დავიდ ბრუკსი, კალუმ უილსონი, სიმონ ფრენსისი, სტივ კუკი

ვულვზი: ***ტრავმ***-არავინ

**ნიუკასლი-ჰადერსფილდი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ჯონჯო შელვეი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-კრის ლოვი, ისააკ მბენზა, დანიელ უილიამსი

**ლესტერი-კრ.პალასი**

ლესტერი: ***ტრავმ***-მარკ ალბრაიტონი, დანიელ ამარტეი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-პაპე სუარე

**მანჩესტერი-ლივერპული**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ენტონი მარსიალი, ჯესი ლინგარდი, მატეო დარმიანი, ანტონიო ვალენსია, მარკოს როხო

ლივერპული: ***ტრავმ***-დეიან ლოვრენი, ჯო გომესი

**არსენალი-საუთჰემპტონი**

არსენალი: ***ტრავმ***-სოკრატის პაპასტატოპულოსი, ექტორ ბელერინი, რობ ჰოლდინგი, დანი უელბეკი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-დანი ინგსი, მარიო ლემინა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 27 | 21 | 2 | 4 | 74-20 | 65 |
| 2.ლივერპული | 26 | 20 | 5 | 1 | 59-15 | 65 |
| 3.ტოტენჰემი | 26 | 20 | 0 | 6 | 54-25 | 60 |
| 4.მანჩესტერი | 26 | 15 | 6 | 5 | 52-35 | 51 |
| 5.არსენალი | 26 | 15 | 5 | 6 | 53-37 | 50 |
| 6.ჩელსი | 26 | 15 | 5 | 6 | 45-29 | 50 |
| 7.ვულვზი | 26 | 11 | 6 | 9 | 34-33 | 39 |
| 8.უოტფორდი | 26 | 10 | 7 | 9 | 34-34 | 37 |
| 9.ევერტონი | 27 | 9 | 6 | 12 | 36-39 | 33 |
| 10.ვესტ ჰემი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-39 | 33 |
| 11.ბორნმუთი | 26 | 10 | 3 | 13 | 37-47 | 33 |
| 12.ლესტერი | 26 | 9 | 5 | 12 | 31-34 | 32 |
| 13.კრ.პალასი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-34 | 27 |
| 14.ბრაიტონი | 26 | 7 | 6 | 13 | 28-39 | 27 |
| 15.ბარნლი | 26 | 7 | 6 | 13 | 29-47 | 27 |
| 16.ნიუკასლი | 26 | 6 | 7 | 13 | 22-34 | 25 |
| 17.კარდიფი | 26 | 7 | 4 | 15 | 24-47 | 25 |
| 18.საუთჰემპტონი | 26 | 5 | 9 | 12 | 28-44 | 24 |
| 19.ფულემი | 26 | 4 | 5 | 17 | 25-58 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 26 | 2 | 5 | 19 | 14-48 | 11 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 ხეტაფე-რაიო | 1.7 | 3.6 | 5.5 |
| 23.02 სევილია-ბარსელონა | 3.6 | 3.8 | 1.95 |
| 23.02 ალავესი-სელტა | 2.3 | 3.3 | 3.2 |
| 23.02 ბილბაო-ეიბარი | 2.1 | 3.2 | 3.8 |
| 24.02 ლეგანესი-ვალენსია | 2.8 | 3.0 | 2.75 |
| 24.02 ატლეტიკო-ვილიარეალი | 1.55 | 4.0 | 6.5 |
| 24.02 ვალიადოლიდი-ბეტისი | 2.62 | 3.2 | 2.8 |
| 24.02 ლევანტე-რეალი | 5.5 | 4.6 | 1.53 |
| 25.02 ხირონა-სოსიედადი | 2.4 | 3.3 | 3.0 |

**ხეტაფე-რაიო**

ხეტაფე: ***ტრავმ***-ამატ ნდიაე, მარკელ ბერგარა

რაიო: ***ტრავმ***-გიანელ იმბულა, გორკა ელუსტონდო

**სევილია-ბარსელონა**

სევილია: ***ტრავმ***-ნოლიტო, მაქსიმ გონალონსი

ბარსელონა: ***ტრავმ***-არტური, რაფინია, სამუელ უმტიტი

**ალავესი-სელტა**

ალავესი: ***ტრავმ***-მარტინ აგურეგაბირია

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

**ბილბაო-ეიბარი**

ბილბაო: ***ტრავმ***-არიც ადურისი

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ

**ლეგანესი-ვალენსია**

ლეგანესი: ***ტრავმ***-არავინ

ვალენსია: ***ტრავმ***-კრისტიანო პიცინი

**ატლეტიკო-ვილიარეალი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ლუკას ერნანდესი, კოკე

ვილიარეალი: ***ტრავმ***-არავინ

**ვალიადოლიდი-ბეტისი**

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-რუბენ ალკარაზი

ბეტისი: ***ტრავმ***-კრისტიან ტელო, ჯუნიორ ფიპრო

**ლევანტე-რეალი**

ლევანტე: ***ტრავმ***-პედრო ლოპესი, ტონო, სერხიო პოშტიგო

რეალი: ***ტრავმ***-მარკოს ლიორენტე

**ხირონა-სოსიედადი**

ხირონა: ***ტრავმ***-ბორხა გარსია, სეიდუ დუმბია, მარკ მუნიესა, ადაი ბენიტესი

სოსიედადი: ***ტრავმ***-ასერ ილიარამენდი, ხოსება ზალდუა, ანდონი გოროსაბელი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 16 | 6 | 2 | 61-23 | 54 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 13 | 8 | 3 | 34-17 | 47 |
| 3.რეალი | 24 | 14 | 3 | 7 | 41-29 | 45 |
| 4.სევილია | 24 | 10 | 7 | 7 | 38-28 | 37 |
| 5.ხეტაფე | 24 | 9 | 9 | 6 | 30-21 | 36 |
| 6.ალავესი | 24 | 10 | 6 | 8 | 25-28 | 36 |
| 7.სოსიედადი | 24 | 9 | 7 | 8 | 30-25 | 34 |
| 8.ბეტისი | 24 | 9 | 6 | 9 | 27-30 | 33 |
| 9.ვალენსია | 24 | 6 | 14 | 4 | 24-20 | 32 |
| 10.ეიბარი | 24 | 7 | 10 | 7 | 33-34 | 31 |
| 11.ბილბაო | 24 | 6 | 12 | 6 | 24-28 | 30 |
| 12.ლევანტე | 24 | 8 | 6 | 10 | 36-43 | 30 |
| 13.ესპანიოლი | 24 | 8 | 5 | 11 | 27-37 | 29 |
| 14.ლეგანესი | 24 | 7 | 8 | 9 | 25-30 | 29 |
| 15.ხირონა | 24 | 6 | 9 | 9 | 25-34 | 27 |
| 16.ვალიადოლიდი | 24 | 6 | 8 | 10 | 19-29 | 26 |
| 17.სელტა | 24 | 6 | 6 | 12 | 36-43 | 24 |
| 18.ვილიარეალი | 24 | 4 | 11 | 9 | 26-31 | 23 |
| 19.რაიო | 24 | 6 | 5 | 13 | 27-41 | 23 |
| 20.უესკა | 24 | 4 | 6 | 14 | 23-40 | 18 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 ფრაიბურგი-აუგსბურგი | 2.2 | 3.4 | 3.3 |
| 23.02 გლადბახი-ვოლფსბურგი | 1.78 | 3.7 | 4.6 |
| 23.02 მაინცი-შალკე | 2.8 | 3.3 | 2.55 |
| 23.02 ბაიერნი-ჰერტა | 1.2 | 6.5 | 15.0 |
| 23.02 ფორტუნა-ნიურნბერგი | 1.76 | 3.7 | 4.75 |
| 24.02 ჰანოვერი-აინტრახტი | 4.4 | 3.8 | 1.78 |
| 24.02 დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.85 | 3.9 | 3.9 |
| 25.02 ლაიპციგი-ჰოფენჰაიმი | 1.85 | 3.9 | 3.9 |

**ფრაიბურგი-აუგსბურგი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-რობინ კოხი, მანუელ გულდე, ნიკოლას ჰოფლერი, როლანდ ზალაი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-დანიელ ბაიერი, ალფრედ ფინბოგასონი, ჯულიან შიბერი, კაიბუ

**გლადბახი-ვოლფსბურგი**

გლადბახი: ***ტრავმ***-არავინ

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-დანიელ გინსეკი, იგნასიო კამაჩო

**მაინცი-შალკე**

მაინცი: ***ტრავმ***-ფილიპ მვენე

შალკე: ***ტრავმ***-დანიელ კალიჯიური, ალესანდრო შოპფი, ბრეელ ემბოლო

**ბაიერნი-ჰერტა**

ბაიერნი: ***ტრავმ***-არიენ რობენი, კორენტინ ტოლისო

ჰერტა: ***ტრავმ***-არნე მაიერი, ჯავაირო დილროსუნი, დერიკ ლუკასენი

**ფორტუნა-ნიურნბერგი**

ფორტუნა: ***ტრავმ***-კევინ სტოგერი, კაან აიანი, დავორ ლოვრენი, მარსელ სობოტკა

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-

**ჰანოვერი-აინტრახტი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ტაკუმა ასანო, ლინტონ მაინა, ნიკლას ფულკრუგი, ილჰას ბებუ

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალანი, დავიდ აბრაჰამი, მარკ სტენდერა, ლუკას ტორო

**დორტმუნდი-ლევერკუზენი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-იბრაჰიმ ტრაორე, იონას ჰოფმანი, რაფაელი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი

**ლაიპციგი-ჰოფენჰაიმი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-კონრად ლაიმერი, კევინ კამპლი, დაიოტ უპამეკანო

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ერმინ ბიჩაკჩიჩი, კევინ ვოგტი, ფლორიან გრილიტჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 22 | 15 | 6 | 1 | 54-23 | 51 |
| 2.ბაიერნი | 22 | 15 | 3 | 4 | 50-26 | 48 |
| 3.გლადბახი | 22 | 13 | 4 | 5 | 42-22 | 43 |
| 4.ლაიპციგი | 22 | 12 | 5 | 5 | 41-19 | 41 |
| 5.ლევერკუზენი | 22 | 11 | 3 | 8 | 39-32 | 36 |
| 6.ვოლფსბურგი | 22 | 10 | 5 | 7 | 35-30 | 35 |
| 7.აინტრახტი | 22 | 9 | 7 | 6 | 41-28 | 34 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 22 | 8 | 9 | 5 | 44-32 | 33 |
| 9.ჰერტა | 22 | 8 | 8 | 6 | 35-32 | 32 |
| 10.ვერდერი | 22 | 8 | 7 | 7 | 37-33 | 31 |
| 11.მაინცი | 22 | 7 | 6 | 9 | 23-36 | 27 |
| 12.ფორტუნა | 22 | 7 | 4 | 11 | 25-41 | 25 |
| 13.ფრაიბურგი | 22 | 5 | 9 | 8 | 29-37 | 24 |
| 14.შალკე | 22 | 6 | 5 | 11 | 25-32 | 23 |
| 15.აუგსბურგი | 22 | 4 | 6 | 12 | 31-40 | 18 |
| 16.შტუტგარტი | 22 | 4 | 3 | 15 | 18-50 | 15 |
| 17.ჰანოვერი | 22 | 3 | 5 | 14 | 20-47 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 22 | 2 | 7 | 13 | 17-46 | 13 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 ტორინო-ატალანტა | 3.25 | 3.25 | 2.3 |
| 23.02 ფროზინონე-რომა | 6.0 | 4.6 | 1.5 |
| 24.02 სამპდორია-კალიარი | 1.8 | 3.5 | 4.75 |
| 24.02 კიევო-ჯენოა | 3.4 | 3.2 | 2.25 |
| 24.02 ბოლონია-იუვენტუსი | 8.0 | 4.2 | 1.47 |
| 24.02 სასუოლო-სპალი | 2.0 | 3.4 | 3.9 |
| 24.02 პარმა-ნაპოლი | 8.0 | 4.5 | 1.42 |
| 24.02 ფიორენტინა-ინტერი | 2.7 | 3.25 | 2.7 |

**ტორინო-ატალანტა**

ტორინო: ***ტრავმ***-კოფი ჯიჯი

ატალანტა: ***ტრავმ***-ალი ადნანი

**ფროზინონე-რომა**

ფროზინონე: ***ტრავმ***-პაოლო ჩილიონე, ლორენცო არიაუდო

რომა: ***ტრავმ***-პატრიკ შიკი, რიკ კარსდორპი

**სამპდორია-კალიარი**

სამპდორია: ***ტრავმ***-ედგარ ბარეტო, ჯანლუკა კაპრარი

კალიარი: ***ტრავმ***-ფილიპო რომანა, პაოლო ფარაგო, ალბერტო ჩერი, რაგნან კლავანი, ლუკას კასტრო

**კიევო-ჯენოა**

კიევო: ***ტრავმ***-სერხიო პელისიერი, ნენად ტომოვიჩი

ჯენოა: ***ტრავმ***-ანდრეა ფავილი, ლუკა მაზიტელი, ოსკარ ჰილემარკი

**ბოლონია-იუვენტუსი**

ბოლონია: ***ტრავმ***-ჯანკარლო გონსალესი, როდრიგო პალასიო, რიკარდო ორსოლინი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-დუგლას კოსტა, ხუან კუადრადო

**სასუოლო-სპალი**

სასუოლო: ***ტრავმ***-მარლონი

სპალი: ***ტრავმ***-სიმონე მისიროლი

**პარმა-ნაპოლი**

პარმა: ***ტრავმ***-რიკარდო კალიოლო, მატეო სკოზარელა, ფედერიკო დიმარკო, ალბერტო გრასი

ნაპოლი: ***ტრავმ***-მარიო რუი, რაულ ალბიოლი

**ფიორენტინა-ინტერი**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-გერმან პეზელა, კევინ მირალესი, დუშან ვლაჰოვიჩი

ინტერი: ***ტრავმ***-მაურო იკარდი, სიმე ვრსალკო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 24 | 21 | 3 | 0 | 52-15 | 66 |
| 2.ნაპოლი | 24 | 16 | 5 | 3 | 42-18 | 53 |
| 3.ინტერი | 24 | 14 | 4 | 6 | 34-17 | 46 |
| 4.მილანი | 24 | 11 | 9 | 4 | 35-22 | 42 |
| 5.რომა | 24 | 11 | 8 | 5 | 46-31 | 41 |
| 6.ატალანტა | 24 | 11 | 5 | 8 | 51-34 | 38 |
| 7.ლაციო | 24 | 11 | 5 | 8 | 33-27 | 38 |
| 8.ფიორენტინა | 24 | 8 | 11 | 5 | 37-26 | 35 |
| 9.ტორინო | 24 | 8 | 11 | 5 | 28-22 | 35 |
| 10.სამპდორია | 24 | 9 | 6 | 9 | 40-32 | 33 |
| 11.სასუოლო | 24 | 7 | 9 | 8 | 34-39 | 30 |
| 12.პარმა | 24 | 8 | 5 | 11 | 25-33 | 29 |
| 13.ჯენოა | 24 | 7 | 7 | 10 | 32-41 | 28 |
| 14.კალიარი | 24 | 5 | 9 | 10 | 21-35 | 24 |
| 15.უდინეზე | 24 | 5 | 7 | 12 | 19-31 | 22 |
| 16.სპალი | 24 | 5 | 7 | 12 | 21-36 | 22 |
| 17.ემპოლი | 24 | 5 | 6 | 13 | 30-45 | 21 |
| 18.ბოლონია | 24 | 3 | 9 | 12 | 19-37 | 18 |
| 19.ფროზინონე | 24 | 3 | 7 | 14 | 17-46 | 16 |
| 20.კიევო | 24 | 1 | 9 | 14 | 19-48 | 9 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 პსჟ-ნიმი | 1.22 | 6.5 | 12.0 |
| 23.02 გენგამი-ანჟე | 2.5 | 3.1 | 3.0 |
| 23.02 ამიენი-ნიცა | 2.7 | 2.9 | 2.9 |
| 24.02 ტულუზა-კაენი | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 24.02 მონპელიე-რეიმსი | 2.25 | 3.0 | 3.5 |
| 24.02 ნანტი-ბორდო | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 24.02 რენი-მარსელი | 2.87 | 3.3 | 2.45 |
| 24.02 მონაკო-ლიონი | 3.2 | 3.6 | 2.15 |

**პსჟ-ნიმი**

პსჟ: ***ტრავმ***-ადრიენ რაბიო, ედინსონ კავანი, ტომას მუნიე, ნეიმარი, ლასანა დიარა

ნიმი: ***ტრავმ***-მუსტაფა დიალო

**გენგამი-ანჟე**

გენგამი: ***ტრავმ***-რონი, კრიშტოფ კებრატი

ანჟე: ***ტრავმ***-პიერიკ კაპელე

**ამიენი-ნიცა**

ამიენი: ***ტრავმ***-კვენტინ კორნე, ბონგანი ზუნგუ

ნიცა: ***ტრავმ***-მიზიან მალიდა, დანილო, ისან საკო

**ტულუზა-კაენი**

ტულუზა: ***ტრავმ***-მეტიუ დოსევი, ისიაგა სილა, ფრანსუა მუბანჯე

კაენი: ***ტრავმ***-ჯესი დემინგო, რომან ჯენევო

**მონპელიე-რეიმსი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ანდი დელო, კიგან დოილი

რეიმსი: ***ტრავმ***-ჰასანე კამარა, პაბლო ჩავარია, კრისტიან კონანი

**ნანტი-ბორდო**

ნანტი: ***ტრავმ***-გაბრიელ ბოშილია

ბორდო: ***ტრავმ***-პაბლო, სამუელ კალუ

**რენი-მარსელი**

რენი: ***ტრავმ***-ისმაილ სარი

მარსელი: ***ტრავმ***-კევინ სტროოტმანი

**მონაკო-ლიონი**

მონაკო: ***ტრავმ***-ჯემერსონი, ჯორდი მბულა, სტივენ იოვეტიჩი, პიეტრო პელეგრი

ლიონი: ***ტრავმ***-რაფაელი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 21 | 2 | 1 | 74-14 | 65 |
| 2.ლილი | 25 | 15 | 5 | 5 | 42-22 | 50 |
| 3.ლიონი | 25 | 13 | 7 | 5 | 40-28 | 46 |
| 4.მარსელი | 25 | 12 | 4 | 9 | 40-34 | 40 |
| 5.სტ.ეტიენი | 25 | 11 | 7 | 7 | 35-31 | 40 |
| 6.მონპელიე | 25 | 9 | 11 | 5 | 32-24 | 38 |
| 7.რეიმსი | 25 | 9 | 11 | 5 | 23-22 | 38 |
| 8.ნიცა | 25 | 10 | 7 | 8 | 19-26 | 37 |
| 9.სტრასბური | 25 | 9 | 9 | 7 | 40-29 | 36 |
| 10.ნიმი | 25 | 10 | 6 | 9 | 37-35 | 36 |
| 11.რენი | 25 | 10 | 6 | 9 | 34-33 | 36 |
| 12.ანჟე | 25 | 8 | 9 | 8 | 29-28 | 33 |
| 13.ბორდო | 25 | 8 | 8 | 9 | 25-26 | 32 |
| 14.ნანტი | 25 | 7 | 6 | 12 | 30-34 | 27 |
| 15.ტულუზა | 25 | 6 | 9 | 10 | 24-36 | 27 |
| 16.მონაკო | 25 | 5 | 7 | 13 | 24-41 | 22 |
| 17.ამიენი | 25 | 6 | 3 | 16 | 19-40 | 21 |
| 18.დიჟონი | 24 | 5 | 5 | 14 | 20-38 | 20 |
| 19.კაენი | 25 | 3 | 10 | 12 | 20-33 | 19 |
| 20.გენგამი | 25 | 3 | 6 | 16 | 17-50 | 15 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლაშვილი

# საქართველო საბერძნეთში დამარცხდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

## საბერძნეთი-საქართველო 81:69

საბერძნეთის ნაკრებმა პირველ პერიოდშივე მოიპოვა უპირატესობა, თუმცა, როცა მათი გამოცდილი ვარსკვლავი, იონას ბურუსისი, სამწამიანში გიორგი შერმადინის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, მასპინძლებმა შეტევის იარაღი პერიმეტრზე გადაიტანეს და სამქულიანებით შემოგვიტიეს. პერიმეტრზე აიწია ბურუსისმაც, რომელმაც სამქულიანიც კი ჩააგდო, თუმცა ძირითადად უკანახაზელები ისროდნენ მიზანში და საბერძნეთის ნაკრების უპირატესობა 10 ქულას ასცდა.

დაახლოებით ამ სხვაობით მიმდინარეობდა მატჩი, თუმცა პირველი ნახევრის ბოლო წამზე ბერძნებმა მორიგი სამქულიანი ჩააგდეს და დიდ შესვენებაზე 14 ქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 44:31.

მესამე პერიოდში მასპინძლებმა განაგრძეს ზუსტი შორი სროლების განხორციელება და მესამე პერიოდის დასაწყისში მასპინძელთა ლიდერობა 22 ქულამდე გაიზარდა — 55:33. ეს უკვე ძალიან დიდი სხვაობა იყო, თუმცა ბრძოლისა და თავდადების ხარჯზე საქართველოს ნაკრებმა 12-ქულიანი გაქცევა განახორციელა და ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირა. ამ ეპიზოდში ქართველებმა კარგად ითამაშეს დაცვაში, რაც გარკვეულწილად პრესინგის დამსახურება გახლდათ. მიხეილ ბერიშვილმაც გაისწორა სამიზნე, ხოლო გიორგი შერმადინი ფარქვეშ შეუჩერებელი გახლდათ.

მესამე პერიოდის დასკვნით ნაწილში მასპინძლებმა მაინც იძალეს და ბოლო 2-წუთიან შესვენებაზე 15-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. აქ კი მოხდა ის, რისთვისაც ილიას ზუროსი გუნდს ამზადებდა. საქართველოს ნაკრებმა ხისტი დაცვისა და ორგანიზებული შეტევების ხარჯზე მოახერხა ჩამორჩენის 5 ქულამდე შემცირება (63:68) და მოსაგებად დროც ჰქონდა — მთელი 6 წუთი, თუმცა მასპინძლებს ნაწილობრივ გაუმართლათ — სამქულიანები ისევ ჩააგდეს, ქართველებმა კი 2-3 საკვანძო შეცდომა დაუშვეს და მატჩის ბედიც გაირკვა.

საქართველოს ნაკრებში 27 ქულით, 15 მოხსნით, 3 პასით და 2 დაფარებით საუკეთესო იყო გიორგი შერმადინი. 18 ქულა დააგროვა თად მაკფადენმა, ხოლო მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე 10 ქულა დაგროვდა. ბერძნებს 15 ქულით პანაგიოტის ვასოლოპულოსმა ულიდერა, თუმცა 9 ქულის, 10 მოხსნისა და 6 პასის მიმთვლელი იონას ბურუსისიც მოწოდების სიმაღლეზე იყო.

ჩვენსავე ჯგუფში, სათქმელად იოლია, მაგრამ ისრაელმა — გერმანია, ესტონეთმა კი სერბეთი დაამარცხა. ამიტომაც ორმაგად დასანანია საბერძნეთში წაგება. მოგების შემთხვევაში საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი გაუჩნდებოდა. თუმცა, იმ შემადგენლობას, რომელიც ბერძნულ პარკეტზე იყო გასული, ამის გაკეთება არ ძალუძს. მიზეზი კლასია, რომელიც არ გვყოფნის და მხოლოდ რიგ ეპიზოდებში რიგიანი თამაშით ფონს ვერ გავალთ...

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩს საქართველოს ნაკრები 24 თებერვალს თბილისში ესტონეთის ნაკრებთან გამართავს.

# ქალმა მსხვილი მოგება ხელიდან კინაღამ ინტერნეტის არ ქონის გამო გაუშვა

ავსტრალიის ტასმანიის შტატის მცხოვრები ლატარიის გამარჯვებული გახდა, მისმა მოგებამ კი 1,7 მილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა ინტერნეტის არ ქონის გამო კინაღამ ამ მოგების გარეშე დარჩა.

ქალმა პატარა ქალაქ კინგსტონიდან, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, აღიარა, რომ ადრე არასოდეს მოუგია ლატარიაში მინაწილეობა. რამდენიმე დღის წინ, მაღაზიასთან ჩავლის დროსმ სადაც ლატარიის ბილეთები იყიდებოდა, გადაწყვიტა, რომ ბედი ეცადა.

მან იყიდა ბილეთი ნომრით 3921 და თორმეტი გამარჯვებულიდან ერთ-ერთი გახდა. თუმცა ამის შესახებ მაშინვე არ შეუტყვია.

— ამ მომენტისთვის სახლში ინტერნეტი არ გვაქვს, გაზეთებს კი არ ვკითხულობ, ამიტომ არც კი გამიგია, რომ ჩვენ რაიონში ვიღაც ლატარიის გამარჯვებული გახდა, — იხსენებს



გამარჯვებული ქალბატონი.

ქალს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას. მისი თქმით, მის ოჯახს ახალი მანქანა და სახლის შეკეთება სჭირდება.

# მსოფლიოში ყველაზე დიდი ფუტკარი იპოვეს

ავსტრალიელმა და ჩრდილოეთ ამერიკელმა მეცნიერებმა ინდონეზიაში უზარმაზარ ფუტკარ უოლესს მიაგნეს. ბოლოს ეს მწერი 38 წლის წინ ნახეს.

ცოცხალი ოთხი სანტიმეტრი სიგრძის მდედრი ფუტკარი ხეზე მიწიდან ორი მეტრის სიმაღლე აგებულ ბუდეში ნახეს.

— საკუთარი თვალით ხილვა, თუ როგორი დიდი და ლამაზია, მისი უზარმაზარი ფრთების ხმაურის მოსმენა, უბრალოდ დაუჯერებელია, — ამბობს ფოტოგრაფი კლეი ბოლტი, რომელმაც პირველმა გადაიღო უზარმაზარი ფუტკარი.

1859 წელს ნატურალისტი ალფრედ უოლესი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც უზარმაზარი ფუტკარი აღწერა.

დიდი ხნის მანძილზე ფუტკარი გადაშენებულად ითვლებოდა, თუმცა 1981 წელს კუნძულ ბაჩანზე ექვსი ბუდე აღმოაჩინეს ცოცხალი მწერებით. ეს აღმოჩენა ამერიკელმა ენტომოლოგმა ადამ მესერმა გააკეთა. მას შემდეგ ფუტკარი უოლესი აღარავის უნახავს.



# ასტროპროგნოზი

## 23 თებერვლისთვის



**ვერძი** — ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** — ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** — დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** — ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** — კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** — თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** — ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** — კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** — პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** — იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** — სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** — ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

## 24 თებერვლისთვის

**ვერძი** — მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი არ აგცდებათ. **კურო** — დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. რისკი გაუმართლებელია. **ტყუპები** — ერიდეთ კონფლიქტს პირად ცხოვრებაში. დღეს დამთმობი და დიდსულოვანი უნდა იყოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ გადადოთ. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **ლომი** — ის საქმე, რომელიც ადრე რთული გეჩვენებოდათ, დღეს ძალზე გაგიიოლდებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** — სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მიიღეთ ბევრი ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შელახვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ღრიანკალი** — ბიზნესის სფეროში მომუშავეებისთვის იღბლიანი პერიოდია. სწორი გადაწყვეტილების მიღებაში თანამოაზრეები დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** — ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. არასაჭირო შენაძენისგან თავი შეიკავეთ. იყავით მიზანდასახული და დამოუკიდებელი. **თხის რქა** — მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს ელოდეთ. **მერწყული** — თამამად და პრინციპულად იმოქმედეთ. არაკეთილისმსურველებს მხოლოდ ასე განაიარაღებთ. **თევზები** — სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. საყიდლებზე წასვლა, ფულის დაბანდება სამომავლოდ გადადეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# მამაკაცმა დასამშვიდებლად ორ კილოგრამამდე ქვა, თავსახურავები და მონეტები გადაყლაპა

სამხრეთ კორეის ქალაქ კოიანის მცხოვრებს მუცლიდან ორ კილოგრამამდე ქვა, ბოთლების თავსახურავები და მონეტები ამოუღეს. 54 წლის მამაკაცმა ექიმს მუცლის არეში ტკივილის გამო მიმართა. მას მუცელი გამობერილი ჰქონდა, ხოლო თითით გასინჯვის დროს შიგნით შეიგრძნობოდა ობიექტები, რომლებიც წვრილ ქვებს წააგავდა. მან აღიარა, რომ დასამშვიდებლად ხშირად ყლაპავდა მონეტებსა და ქვებს.

რენტგენმა აჩვენა, რომ კუჭი მთლიანად ამოვსებული იყო უცხო სხეულებით. თავდაპირველად ექიმები მათ ამოღებას გასტრასკოპის დახმარებით გეგმავდნენ, თუმცა ისინი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. კუჭიდან ქვების, ბოთლების თავსახურავების და მონეტების მოსაშორებლად ქირურგიული ჩარევა გახდა აუცილებელი. მამაკაცმა საავადმყოფოში ათი დღე გატარა.



# უიშვიათესი სრულიად შავი პინგვინი აღმოაჩინეს



ტელეარხმა BBC America უიშვიათესი, თითქმის მთლიანად შავი ფერის პინგვინის კადრები აჩვენა. ასევე ვიდეორგოლი ფეისბუქზეც იქნა გამოქვეყნებული.

— შესაძლოა, ეს ისტორიაში შავი ფერის პინგვინის პირველი კადრებია, — წერია ველური ბუნებისადმი მიძღვნილი გადაცემის ფრაგმენტის კომენტარში. ვიდეორგოლში ნათქვამია, რომ შეიძლება ეს პლანეტაზე ერთადერთი ასეთი შეფერილობის პინგვინია.

გამოცემის მონაცემებით, მელანიზმით გამოწვეული მუტაცია დროდადრო გვხვდება ბუნებაში, თუმცა ცხოველის სრულიად შავი შეფერილობა მტაცებლების ყურადღებას იპყრობს და ისინი თანამოძმეებზე უფრო მალე იღუპებიან. ამიტომ ზრდასრული ასაკის შავი პინგვინი უდიდეს იშვიათობას წარმოადგენს.

# ორმეტრიანი ხვლიკების ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს

ინდონეზიის კუნძულ რინჩაზე ტურისტების თვალწინ ორმა ვარანმა ნამდვილი ორთაბრძოლა მოაწყო.

ხალხმა მოჩხუბარი რეპტილიები ალყაში მოიქცია, ხოლო ექსკურსიამძღოლმა ყველაფერი ვიდეოზე გადაიღო. ორივე ხვლიკის სიგრძე ცხვირის წვერიდან კუდის ბოლომდე დაახლოებით ორ მეტრს შეადგენდა. ასეთი სიგრძის ვარანების წონა 80 კილოგრამამდე აღწევს. ორთაბრძოლის დროს ცხოველები უკანა თათებზე წამოიმართნენ და ერთმანეთს წინა კიდურებს ურტყამდნენ. საბოლოოდ ერთმა მეორის წაქცევა და მისი მიწაზე გართხმა მოახერხა.



# მედდებმა საავადმყოფო ტარაკნებით აავსეს

იტალიის ქალაქ ნეაპოლის საავადმყოფოში ხელმძღვანელობას ეჭვი შეეპარა იმაში, რომ სამედიცინო დაწესებულებაში ტარაკნები მედდებმა დაყარეს.

მწერები ვიდეოზე ერთ-ერთმა ავადმყოფმა გადაიღო. სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილების ტუალეტის იატაკი ტარაკნებითაა მოფენილი.



ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ვარაუდი გამოთქვეს, რომ ამ შემთხვევაში დამნაშავეები დაწესებულების თანამშრომლები იქნებიან, რომლებსაც უფრო ნაკლებად დატვირთულ განყოფილებაში გადასვლა სურთ.

სავარაუდოდ, მწერები შენობაში ჩანთით მიიტანეს, რომელიც ნახერხით და ფოთლებით იყო სავსე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფრანგული ავტომობილი; 2. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 3. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 4. მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ქართველი პაროდისტი, ქართული მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 6. ყურძნის არაყი; 7. ალუმინის შემცველი მადანი; 10. ფულის ერთეული ალბანეთში; 11. უნგრეთის დედაქალაქი; 12. საბრძოლო იარაღის საწყობის, არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 13. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 16. ოქროს მომპოვებელი ფირმა საქართველოში; 18. შავი ზღვის ზვიგენი; 19. უსაფუვროდ გამომცხვარი პური; 21. მტაცებელი ცხოველი; 24. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური.

**თარაზულად:** 1. ქართული ტელეკომპანია; 3. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. ტბა სამხრეთ საქართველოში; 9. ტკბილი, მოწითალო ფერის ნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 14. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 15. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ამჟავებული ღვინო; 23. ანგორული თხის მატყლი; 25. ჩაკეტილი მრუდი მათემატიკაში; 26. გერმანელი მწერალი; 27. ქალაქი ჩეხეთში; 28. „შუშანიკის წამების“ ავტორი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ნითაობა; 2. დეკანოზი; 3. გრუბერი; 5. კლარჯულა; 7. ეტალონი; 9. ბოტულიზმი; 13. მიკრობი; 15. ტორერო; 16. აფონია; 18. გუაში.

**თარაზულად**: 4. მოლეკულა; 6. კვესტურა; 8. პანჩატანტრა; 10. სალხინო; 11. ტარო; 12. ონაგრი; 14. ოტელო; 17. რიტმი; 19. გროტი; 20. ენოლოგია; 21. იკაო; 22. ბოგდიხანი; 23. დიაფანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სიტე; 2. ოდა; 3. კატალოგი; 4. პო; 5. ბირთვისი; 6. ჯაკო; 7. ჩარდაში; 10. ბონი; 11. ჩოჩიშვილი; 12. რარიტეტი; 13. ქერი; 16. გრივნა; 18. დვეზელი; 19. სკივრი; 21. გუერა; 24. რუმბა.

**თარაზულად**: 1. სოპრანო; 3. კანაპე; 8. წიქარა; 9. ტაბუ; 14. უნცია; 15. თელავი; 17. როჭო; 20. გუშაგი; 22. სევრი; 23. კატარი; 25. ჩაი; 26. ვატი; 27. აზია; 28. მაკლარენი.

# თემურ ჩხეიძე აფხაზეთში მცხოვრებ მაისურაძეს ეძებს



რეჟისორი თემურ ჩხეიძე აფხაზეთში მცხოვრებ მაისურაძეს ეძებს, რომლის პოვნაც მას გერმანელმა ქალბატონმა განსაკუთრებულად სთხოვა:

– დაახლოებით ოცი წლის წინ გერმანიაში ვიყავი რუსულ თეატრთან ერთად გასტროლებით. ჩემთან მოვიდა ქალბატონი და მეკითხება:

– თქვენ ქართველი ხართ?

– დიახ, ქართველი ვარ!

– იცით, მე მინდოდა თქვენი ნახვა, ალბათ გიკვირთ?

– დიახ! – იყო პასუხი, თუმცა ყურადღება მაყურებლის და თაყვანისმცემლის არასდროს ჰკლებია ცნობილ რეჟისორს, მაგრამ ქალბატონი ცდილობდა მოსაუბრე გაკვირვებული დარჩენილიყო და ისიც გაკვირვებულის როლს დათანხმდა და როგორც აღმოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ.

– იცით, მე გერმანელი ვარ, – აგრძელებს ქალბატონი, – ომამდე ოჯახით სოხუმში ვცხოვრობდი. მამაჩემი სკოლაში მუშაობდა. მეშვიდე კლასში ვიყავი და მომწონდა ბიჭი, რომელიც მაშინ მეათე კლასში იყო. მე გვარი მახსოვს მისი – მაისურაძე. ერთმანეთისთვის სიტყვა არასდროს გვითქვამს, ჩვენი სიყვარული უბრალოდ შესვენებებზე შემთხვევით შეხვედრით და შეხედვით მთავრდებოდა.

ომი რომ დაიწყო, რამდენიმე დღეში მამაჩემი სახეშეცვლილი დაბრუნდა სახლში, ორ დღეში ყველა გერმანულ ოჯახს გვასახლებენო. ყოველთვის უამრავი სტუმარი ჰყავდა ჩვენს ოჯახს, მაგრამ ის ორი დღე არავინ გამოჩენილა ჩვენთან. მესამე დღეს უკვე ვაგზალზე ვიყავით, ირგვლივ სულ ჯარისკაცები იყვნენ. თითქმის არავინ გვაცილებდა და ვინც გვაცილებდა, მათაც უკრძალავდნენ კორდონს აქეთ გადმოსვლას. ყველანი საბარგო ვაგონში შეგვყარეს. მე, როგორც პატარას, უფლება მომცეს ფანჯარასთან მისულიყავი და მაშინ დავინახე ის ჩემი შეყვარებული ბიჭი, რომელიც ჯარისკაცებს რაღაცას უხსნიდა. ცოტა ყოყმანის შემდეგ კორდონი გაიხსნა და ბიჭი ბაქნისკენ გამოიქცა და ვაგონებს ათვალიერებდა. მივხვდი, რომ მე მეძებდა. მე ფანჯარასთან რაც შემეძლო მივიწიე და დავუძახე. ის შემობრუნდა და დამინახა. თან მატარებელიც დაიძრა. ცოტა ხანს მოყვებოდა მატარებელს და მიყურებდა...

ეს იყო ბოლო ჩვენი შეხვედრა. რამდენი წელი გავიდა ამის მერე, არასდროს დამავიწყდება მისი თვალები და ახლა ვხვდები, რომ ეს იყო ერთადერთი მამაკაცი, რომელმაც ჩემთვის თავი გაწირა. იმის მერე სულ ამ ბიჭს ვეძებ, მაისურაძეს, იქნებ ცოცხალია, იქნებ... თქვენ ხო საქართველოში ნაცნობები გყავთ, იქნებ იცის ვინმემ ეს მაისურაძე, იქნებ იცის...

პ.ს. ამის შემდეგ ინტერვიუს არამოყვარული ბატონი თემური, იქეთ სთხოვდა თურმე რადიო თუ ტელეჟურნალისტებს მომისმინეთო, ყვებოდა ამ ამბავს და დამეხმარეთ, ვიპოვოთ, იქნებ იცით ეს მაისურაძეო, ითხოვდა. არ გამოჩენილა თურმე... ქალი კი კიდევ ელის და დრო და დრო ეკონტაქტება რეჟისორს, ახალი ხომ არ არის რამეო.

იქნებ იცით ის მაისურაძე, დაუკავშირდით ბატონ თემურ ჩხეიძეს, რა ბედნიერი იქნება ის ქალი, ის წამი დაიბრუნოს, ბედნიერი, როცა თვალი თვალს შეხვდება სულ ერთი წამით... თუნდაც...

# აფხაზებმა იციან, რომ ჩვენ გარეშე ვერ იარსებებენ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

– მართლაც შემზარავი ფაქტია. ნორმალური ადამიანის გონებაში, როგორ შეიძლება იყოს აზრი, რომ ნათესავს მიცვალებული არ დაატირებინოს, მაგრამ რუსული პოლიტიკა იმდენად დაუნდობელია, რომ მათ ქმედებებს ნორმალური ადამიანური ახსნა ნამდვილად არ აქვს. კრემლი ცდილობს, იზოლაციის საშუალებით ხალხი ერთმანეთს დააშოროს. არ ჰქონდეთ ურთიერთობა, რაც იწვევს გაუცხოებას. ძველი მეთოდია, გათიშე, არ შეახვედრო. მათ პოლიტიკურ მიდგომებში ეს არის ჩადებული, მეტი არაფერი. ეს არის მიზეზი, თორემ აფხაზი ეთნოსის მენტალიტეტში ასეთი ქცევა ნამდვილად არ ზის.

***– რა გამოხმაურება ექნებოდა აფხაზურ საზოგადოებაში ამ ფაქტს?***

– დარწმუნებული ვარ, მათ უმეტესობაში დადებითი გამოხმაურება არ ექნებოდა.

***– თავის დროზე ამბობდნენ, რომ ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები 45%-ს შეადგენდა.***

– მგონი, ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების რაოდენობა 40-ზე მეტს შეადგენდა, შეიძლება 45%-იც იყო.

***– საერთო ნათესაური კავშირები გავლენას ვერ ახდენს?***

– გავლენას, რა თქმა უნდა, ახდენს. სამედიცინო პროგრამის ფარგლებში ისინი აქ არა მარტო სამკურნალოდ ჩამოდიან, არამედ ურთიერთობებიც აღდგება ხოლმე. ჩვენები ხვდებიან, მხარში უდგანან. ურთიერთობა ბევრს ნიშნავს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ პირდაპირ ჩვენსკენ გამოიქცევიან, რადგან პოლიტიკა ცოტა სხვაა. სახალხო დიპლომატიის დონეზე ცოტა სხვა მდგომარეობაა. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ პოლიტიკა შეიცვალოს.

***– გასაგებია, რომ არ გამოიქცევიან, მაგრამ ის, რაც ჩვენ ვიხილეთ, მორალური კატასტროფაა.***

– რა თქმა უნდა, მაგრამ ნორმალური ადამიანის გონებაში არ იბადება ასეთი აზრები.

***– ამბობთ, სახალხო დიპლომატიის მხრივ უკეთესი მდგომარეობააო. თქვენ და თქვენს ხელისუფლებას თუ გაქვთ კავშირები?***

– ძალიან ბევრი.

***– რას გეუბნებიან?***

– მათი ხედვა ბევრად იცვლება. უფრო სხვანაირად უყურებენ ყველაფერს. ის, რაც მათ ეგონათ – თავისუფლება და სიკეთეები, რაც ვითომ უნდა მოჰყოლოდა იმ პროცესებს, რაც განვითარდა აფხაზეთში – ნამდვილად არ არის. ნორმალური ადამიანები აფხაზეთში ხვდებიან, რომ ერთმანეთის გარეშე ვერ გადავრჩებით, მათი გადარჩენის ერთადერთი გზა ჩვენ ვართ.

***– ბატონო გია, რუსებიც ქრისტიანები ვართ და ქართველებიც. ქრისტიანული მორალი რუსებს აძლევთ საშუალებას ისე მოიქცნენ, როგორც მოიქცნენ? არადა, თითქოს რუსები მართლმადიდებლებად ითვლებიან.***

– რუსეთი არის ქრისტიანული ქვეყანა, მაგრამ არ არის ქრისტიანული სახელმწიფო. ეს იქიდან ჩანს, რომ ხუთი მართლმადიდებელი ქვეყნიდან, რომელიც იყო საბჭოთა კავშირში (რუსეთის ჩათვლით), სამთან – საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან ფიზიკური კონფლიქტი აქვს.

***– ე.ი. რუსებმა არ გადაუშვეს ქართველები გარდაცვლილის დასატირებლად. ბრძანება რუსეთიდან, კრემლიდან შეიძლება ჰქონოდათ?***

– არა მგონია, ამ დონეზე გადაწყვეტილიყო, ალბათ ადგილობრივ დონეზე გადაწყვიტეს ხალხის არ შეშვება.

***– ე.წ. საზღვარზე მდგომ სამხედროებს თვითნებურად შეიძლებოდა გადაეწყვიტათ?***

– ალბათ, კი.

***– ე.წ. საზღვარზე რუსებთან ერთად აფხაზები არ დგანან?***

– აფხაზებიც დგანან, მაგრამ გადამწყვეტი ხმა არ აქვთ.

***– ანუ რუსები აფხაზებს ჩაგრავენ?***

– ასე გამოდის.

***– პირდაპირ რუსების ბრძანებებს ექვემდებარებიან.***

– დიახ, ასე ჩანს.

***– თვითონ აფხაზურ უხუცესთა საბჭოსა და ე.წ. ხელისუფლების მხრიდან შეიძლება იყოს გამოხმაურებები და შეფასებები?***

– არა მგონია პრესაში, ღიად განცხადებები გააკეთონ, მაგრამ თვითონ ხალხში ეს დადებითად არ აღიქმება. მე ვიცნობ აფხაზი ეთნოსის მენტალიტეტს და ნამდვილად ვიცი, რომ ის, რაც მოხდა ადმინისტრაციულ საზღვარზე, დადებითად არ აღიქმება.

***– სახალხო დიპლომატიის ფარგლებში თუ გქონიათ საუბრები აფხაზებთან, რომ კარგი იქნება თუ იქიდან დევნილებს თავიანთი ახლობლების საფლავებზე მისვლის შესაძლებლობა მიეცეთ.***

– რა თქმა უნდა. ასეთი წინადადებები იყო, მაგრამ ჯერ ამის საშუალება არ არის. გეთანხმებით, კარგი იქნება თუ აფხაზეთიდან დევნილ ქართველებს თუნდაც აღდგომის დღეს, თუნდაც წელიწადში ერთხელ მიეცეთ საშუალება, თავიანთი ახლობლების საფლავებზე მივიდნენ.

***– შეიძლება აღდგომის დღეს, მასობრივად ყველა შეეცდება შევიდეს და ცოტა რთული პროცესი არ იქნება?***

– არა მგონია, ყველა წავიდეს, მაგრამ ასეთი საშუალება ძალიან კარგი იქნება.

# დავით ევგენიძე პირველი არხის მთავარ მუსიკალურ პროდიუსერად დაინიშნა



კომპოზიტორი დავით ევგენიძე დააწინაურეს. ხელოვანი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მთავარ მუსიკალურ პროდიუსერად დაინიშნა. მისი, როგორც მთავარი მუსიკალური პროდიუსერის, ამოცანა იქნება, პირველ არხზე ქართულ მუსიკას მეტი დრო დაეთმოს:

– ჩემი აზრით, დღეს საქართველოს სატელევიზიო სივრცეში ქართული მუსიკის მიმართ პატივისცემა ნაკლებია, არ აქვს ისეთი დაფასება, როგორსაც იმსახურებს. ჩემი მოვალეობა, როგორც პირველი არხის მთავარი მუსიკალური პროდიუსერის, იქნება, მეტი დრო დაეთმოს ქართულ მუსიკას, არ დაიკარგოს ძველი, რაც უკვე შედგა და რაც გენიალურია. ვეცდები, ვიყო ხიდი ძველ თაობასა და ახალ თაობას შორის.

იქნება ჟანრების მრავალფეროვნება, დაწყებული ელექტრონული მუსიკით, კლასიკურით დასრულებული. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ უმაღლესი ხარისხითა და გემოვნებით. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს XIX საუკუნეა, გზავნილის მიტანა აჩქარებულია, ამიტომ გადაცემები უნდა იყოს დინამიური, ინფორმაციითა და შინაარსით სავსე. ჩემი მიზანია, შევინარჩუნოთ ძველი და აღმოვაჩინოთ ახალი ტალანტები, – განუცხადა ჟურნალისტებს დავით ევგენიძემ.

# გია ჯაჯანიძე: „ვინ გაგვთიშა ერთმანეთისგან?!“



ამ კითხვას გადაცემა „სხვა რაკურსის“ წამყვანი გია ჯაჯანიძე სვამს და პასუხს მკითხველისგან მოელის:

– ნეტა რის მანიშნებელია?

ერთ ოჯახში ცხოვრობენ და ერთმანეთს ებრძვიან.

ერთ სამსახურში, ერთ საქმეს ემსახურებიან, ერთმანეთს ვერ იტანენ და ერთმანეთს ერჩიან.

ერთ გუნდში არიან, საერთო ინტერესი აქვთ და ერთმანეთს ჭამენ.

ერთ ქვეყანაში ცხოვრობენ, ერთი ჯილაგის არიან, ერთი მიწა-წყალი აქვთ და ერთმანეთს ხოცავენ.

ეს ყველაფერი ყველას უკვირს, ყველა იგივეს ამბობს და მტრობა მაინც არ ნელდება.

ნეტა რის მანიშნებელია ეს ყველაფერი.

სად არის ამ სიძულვილის სათავე.

„ეშმაკი“ გვებრძვის თუ თითოეული ადამიანის აზროვნებაშია გარღვევა.

სად არის პატრონი, ვინ დაალაგებს ამ გაუთავებელ უაზრო ბრძოლას და შურს?

ვინ გაგვთიშა ერთმანეთისგან?

რა გვეშველება!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**




## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.**

**☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 თებერვლისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6574 |
| ევრო | 3.0146 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4629 |
| 100 რუსული რუბლი | 4.0421 |

## ამინდის პროგნოზი 23 თებერვლისთვის





22 თებერვლიდან
ოტია იოსელიანი
ქალი გამოვიდა სალალატოდ


ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
„მე მიყვარს კითხვა“

19 თებერვლიდან
ჯონათან სვიფტი
გულივერის მოგზაურობა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

26 თებერვლიდან

თედო რაზიკაშვილი
მოთხრობები
ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი


# იუმორი

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– როგორ მომრავლდა განქორწინებები. ამბობენ, რომ მხოლოდ ყოველი მეათე ქორწინებაა იღბლიანიო და თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– ვერაფერს გეტყვით, ჯერ მხოლოდ მესამე ქორწინებაში ვიმყოფები.

●●●

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, მამიკო მორცხვი კაცია?

– მორცხვია, აბა რა, თორემ ახლა ხუთი წლით უფროსი იქნებოდი.

●●●

ქალი ვოკალის მასწავლებელთან მივიდა, წაუმღერა და ეკითხება:

– ჩემი მონაცემებით ოპერაში რომ შევიდე, შეიძლება?

– რა თქმა უნდა, თუ ბილეთს აიღებთ.

●●●

კაცმა სპექტაკლზე დააგვიანა, გიჟივით შევარდა თეატრში და დარბაზისკენ გარბის. დერეფანში კარისკაცი წამოეწია და ეუბნება:

– იცით, სპექტაკლი უკვე დაწყებულია და გთხოვთ დარბაზში ფეხაკრეფით შეხვიდეთ.

– რა, სძინავთ უკვე?

●●●

მოსამართლე მამაკაცს ეუბნება:

– თქვენ მიერ გაუპატიურებულ ქალს ტყუპები შეეძინა.

– მერე, ერთს ხომ ვაღიარებ?!

– ვერ გაიგეთ? ტყუპები შეეძინა, ორი ბავშვი!

– გასაგებია, მაგრამ მეორე ჩემი არ არის.

– ვითომ რატომ?

– მაგ ქალთან მხოლოდ ერთხელ ვიყავი...

●●●

სიძესთან სტუმრად მისული სიდედრი ეკითხება:

– სიძევ ბატონო, სამზარეულოში ჭურჭელი რატომ არის დამტვრეული?

– მე და შენმა შვილმა ვიჩხუბეთ და იმიტომ.

– და დივანი რატომღაა ჩატეხილი?

– ვრიგდებოდით!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– სულ ტყუილად ვეჩხუბეთ ქალიშვილს პირსინგის გამო.

– რატომ?

– ახლა დილით მისი ლოგინიდან აყენება უფრო ადვილია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სოლსკიაერი: „ლივერპულთან მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ლივერპულთან შეხვედრის წინ განაცხადა, რომ მისი გუნდი ვალდებულია, უკეთესი თამაში აჩვენოს, ვიდრე ეს პსჟ-სთან იყო.

სოლსკიაერი დარწმუნებულია, რომ მის გუნდს ლივერპულის დამარცხება შეუძლია, თუმცა ეს ძალიან რთული იქნება.

– ლივერპული წელს საოცრად თამაშობს და მისი დამარცხება ურთულესი ამოცანაა, მაგრამ ჩვენ ეს შეგვიძლია და მე მჯერა ჩემი ფეხბურთელების. სტუმრად ძლიერ გუნდებთან კარგი შედეგები ვაჩვენეთ და იგივე საკუთარ მოედანზეც უნდა გავაკეთოთ, – განაცხადა სოლსკიაერმა.

## ჩელსის ორი წლის მანძილზე ტრანსფერის გაკეთება აეკრძალა

ლონდონის ჩელსი უეფამ დასაჯა და გუნდს მომავალი ორი წლის მანძილზე ტრანსფერის განხორციელების უფლება არ ექნება.

აღმოჩნდა, რომ ჩელსი ტრანსფერებს უკანონო გზით ახორციელებდა და ამის გამო უეფამ მისი დასჯა გადაწყვიტა.

ჩელსის ექნება ფეხბურთელის გაყიდვის უფლება, უბრალოდ, ლონდონელები ორი წლის მანძილზე ვერავის იყიდიან, რაც მათთვის ძალიან ცუდია, რადგან გუნდი აშკარად საჭიროებს გაძლიერებას.

ჩელსი, სავარაუდოდ, ამ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.



## ინტერი ივან რაკიტიჩთან მოლაპარაკებებს აწარმოებს



მილანის ინტერი ბარსელონას ხორვატ ფეხბურთელთან ივან რაკიტიჩთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. რაკიტიჩს ჯერჯერობით ბარსელონასთან კონტრაქტი არ გაუხანგრძლივებია და სეზონის ბოლოს ის თავისუფალი აგენტი გახდება.

ინტერში რამდენიმე ხორვატი ფეხბურთელი თამაშობს და რაკიტიჩისთვის ეს ვარიანტი მისაღები იქნება.

რაკიტიჩი კომენტარისგან თავს იკავებს და ამბობს, რომ რამდენიმე თვეში ბევრი რამ საბოლოოდ გაირკვევა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მოძრავმა ქვიშამ ამერიკელი ჩაითრია

ამერიკის იუტას შტატში გადაარჩინეს ტურისტი, რომელიც მოძრავ ქვიშაში ჩაეფლო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული ტელეარხი ავრცელებს.

არიზონას შტატის მკვიდრი ქალი და მამაკაცი იუტას ეროვნულ პარკ ზაიონს ათვალიერებდნენ. ერთ ადგილას მამაკაცმა ფეხი მოძრავ ქვიშას დაადგა და მაშინვე მუხლებამდე ჩაეფლო. დაუხმარებლად ამოსვლას ის ვერ ახერხებდა.

ქალმა მამაკაცს სიცივის გამო თბილი ტანსაცმელი და სხვადასხვა მოწყობილობები დაუტოვა და დახმარების მოსაყვანად წავიდა. მან სამი საათის შემდეგ მიაღწია იმ ზონამდე, სადაც ფიჭური კავშირგაბმულობა მოქმედებდა და სამაშველო სამსახურში დარეკა.



ზარის შემდეგ ტურისტების მოსაძებნად პარკის სამაშველო სამსახურის თანამშრომლები გავიდნენ. მათ ჯერ ქალი იპოვეს, რომელსაც უკვე გადაციება სტანჯავდა. მამაკაცის მოძებნა უფრო რთული აღმოჩნდა, ხოლო როდესაც მაშველებმა მას მიაგნეს, მამაკაცს ქვიშაში უკვე ათი საათი ჰქონდა გატარებული.

მას და მის თანმხლებ ქალბატონს საჭირო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს, თუმცა მათ დაუყოვნებლივ დაბრუნებას ხელი ძლიერმა თოვამ შეუშალა. დილისთვის ტურისტების გამოსაყვანად სოლტ-ლეიკ-სიტიდან შვეულმფრენი გაიგზავნა.

საბოლოოდ მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საქართველო საბერძნეთში დამარცხდა

საბერძნეთი-საქართველო 81:69



(23:14, 21:17, 22:20, 15:18)

საქართველოს ეროვნული ნაკრები საბერძნეთში ჯგუფის ლიდერთან დამარცხდა. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა ქართველებმა ბერძნებთან იბრძოლეს და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თამაში აგებდნენ და ერთხანს 22 ქულითაც, ბოლო პერიოდში ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს. თუმცა, ქართველებს გამარჯვების შანსი არ ჰქონიათ, რადგან მასპინძლებმა თითქმის უშეცდომოდ ჩაატარეს დასკვნითი წუთები.

ილიას ზუროსის გუნდს აკლდა საკვანძო კალათბურთელები – თორნიკე შენგელია, გოგა ბითაძე, ბექა ბურჯანაძე, სანდრო მამუკელაშვილი. არც ბერძნები იყვნენ ძირითადი შემადგენლობით. ერთია, მათ მეტი კალათბურთელი მოეძებნებათ, რომლებსაც უმაღლეს დონეზე შეუძლიათ თამაში.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 2. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 3. კუთხე საქართველოში; 5. დედამიწის აგებულებისა და შედგენილობის შემსწავლელი მეცნიერება; 7. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 9. ქალაქი იმერეთში; 13. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა – შეკუმშვა; 15. მტაცებელი ფრინველი; 16. მიწის წიაღიდან მადნის მომპოვებელი საწარმო; 18. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში.

**თარაზულად:** 4. ზოგიერთი ქიმიური ელემენტის საერთო სახელწოდება, რომლებიც ბუნებაში მხოლოდ მარილების სახით გვხვდება; 6. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 8. ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდება; 10. ქალაქის თავი ძველად იტალიაში; 11. ძველი ხალხური თქმულება, ლეგენდა; 12. საზღვაო მოგზაურობა; 14. აღმოსავლური ტკბილეული; 17. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. მწირი, მოუსავლიანი ნიადაგი; 20. იარაღის საწყობის, არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ქართული ლუდი; 22. ტბების შემსწავლელი მეცნიერი; 23. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

